# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუღილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 15 აგვისტო, 2008 წელი.

№ 152 (6010)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge  ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika  ფასი 50 თეთრი.




## კათოლიკოს-პატრიარქი ითხოვს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთის პრეზიდენტს და საპატრიარქოს წერილს უგზავნის.

ილია მეორე ითხოვს უფლებას, ცხინვალიდან და ნიქოზიდან ქართულმა მხარემ დაჭრილები გამოიყვანოს.



ჯემალ კასრაძის ფოტო

## პარლამენტმა დსთ-დან გამოსვლის გადაწყვეტილება მიიღო

გუშინ საქართველოს პარლამენტმა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გამოსვლის გადაწყვეტილება 117 ხმით ერთხმად მიიღო.

# რუსებმა ხელშეკრულება დაარღვიეს – ისინი კვლავ დაუბრუნდნენ გორს, სენაკსა და ფოთს



გორი



სენაკი



ფოთი

## ასეთ აგრესიას არავინ ელოდა

5





4

სოზარ სუბარი:

## „ჩვენი ხელისუფლება ბოლო წუთამდე არ აღიარებდა, რომ დევნილები გვყავდნენ“

## არჩილ გეგეშიძე: აშშ საქართველოს დასაცავად განცხადებებიდან საქმეზე გადავიდა



7

ინფორმაცია

## ევროკავშირი მზადაა საქართველოს დასახმარებლად

**ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნები აცხადებს, რომ ევროკავშირი მზადაა საქართველოში ვითარების პოლიტიკურ მოწესრიგებაში მონაწილეობა მიიღოს.**

ალნიშნული განცხადება სემნებმა გუშინ, პარლამენტში, დავით ბაქრაძესთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

## ესტონელები და ლიტველები იბრძვიან, რათა რუსეთს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში უფლებამოსილება შეუჩერდეს

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ესტონეთისა და ლიტვის დელეგაციებმა დაიწყეს მუშაობა, რათა რუსეთის დელეგაციას უფლებამოსილება შეუჩერდეს, — ამის შესახებ პარლამენტის გუშინდელ საგანგებო სხდომაზე დავით ბაქრაძემ განაცხადა და დასძინა, რომ ასეთივე ტენდენციები შეინიშნება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებშიც.**

## უკრაინა მზადაა მშვიდობისმყოფელების გამოსაგზავნად

**უკრაინა მზადაა შესთავაზოს საქართველოს საკუთარი სამშვიდობო კორპუსი, რომელიც საერთაშორისო მანდატის ფარგლებში ხელს შეუწყობს კონფლიქტის ზონაში სიტუაციის დარეგულირებას. ამის შესახებ ჟურნალისტებს უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ განუცხადა.**

— დარწმუნებული ვარ, რომ ისეთ ქვეყნებს, როგორიც უკრაინაა, შეუძლიათ კონფლიქტის ზონაში საკუთარი მშვიდობისმყოფელები სიტუაციის დასარეგულირებლად მიავლინონ. ეს იქნება ერთგვარი დემონსტრაცია იმისა, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობას და მზად ვართ, ავიღოთ ვალდებულება მის შესანარჩუნებლად, — განაცხადა იუშჩენკომ.

## მედვედევი საქართველოს მეგობარ ქვეყნებს აკრიტიკებს

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი კრიტიკას არ იშურებდა იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც საქართველოს ეხმარებიან.**

როგორც რუსეთის პრეზიდენტი, მე მოველი ჩვენი უცხოელი პარტნიორების კონსტრუქციულ პოზიციას. სამწუხაროდ, ისინი მხოლოდ საქართველოს შეიარაღების გაფართოებით კავდებიან, — განაცხადა მედვედევმა კრემლში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკების მეთაურებთან ედუარდ კოკოითთან და სერგეი ბაღაფშთან საუბრისას. „კონფლიქტის მხარის იარაღით მომარაგება არ ნიშნავს მშვიდობის დამყარების სურვილს. საჭიროა უცხოელები დაეხმარონ მშვიდობას და არა ომს, — აღნიშნა მან.



## გვეხმარებიან უცხოეთის ქვეყნები

**ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში სხვადასხვა ქვეყნებიდან გამოგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთების რაოდენობა იზრდება.**

როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან იტყობინებიან, საქართველოში ჰუმანიტარული ტვირთები შემოდის როგორც სახმელეთო, ასევე საჰაერო გზებით. ამ დროისათვის ტვირთების ღირებულების ზუსტი ოდენობა ცნობილი არ არის. ქვეყანაში დევნილი მოსახლეობისთვის ამერიკიდან მიღებულია 900 ათასი დოლარის ღირებულების ჰუმანიტარული ტვირთი, ლატვიიდან 1,5 ტონა, უკრაინიდან ჩამოფრინდა სამი თვითმფრინავი, ლიტვიდან და საფრანგეთიდან ერთი, ამერიკიდან დღის ბოლომდე ელოდებიან 3 თვითმფრინავს, ასევე პოლონეთიდან ორს.



სახმელეთო სახის ტვირთები შემოვიდა თურქეთიდან — 2 ტრაილერი და აზერბაიჯანიდან — ერთი.

საქართველოში აღნიშნულმა ქვეყნებმა დევნილებისთვის საჭირო ყველა სახის დახმარება ჩამოიტანეს.

## შეგულიანებული აფხაზები გაეროსა და ეუთოს ადანაშაულებენ

**რუსეთის დახმარებით შეგულიანებული აფხაზი სეპარატისტები უკვე აცხადებენ, რომ საქართველოსთან მოლაპარაკებები მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუკი საქართველო აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს.**

აღნიშნულ განცხადებას აფხაზ სეპარატისტთა ე. წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს, რომელსაც სერგეი შამბა ხელმძღვანელობს. შამბას უწყება ასევე ადანაშაულებს საერთაშორისო შუამავლებს — გაეროსა და ეუთოს კონფლიქტის ესკალაციის დროს უუნარობის გამოჩენაში.

— რაც შეეხება ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებათა პროცესს, მისი გაგრძელების აუცილებელი პირობა საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაა, — ნათქვამია შამბას უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია: საერთაშორისო შუამავლებმა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარებისას, კერძოდ, გაეროს უშიშროების საბჭომ და ეუთომ დაამტკიცეს თავისი უმწეობა და არაკომპეტენტურობა ექსტრემალური ვითარების დროს კონფლიქტების ესკალაციის თავიდან აცილების საკითხში.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

შავი ქრონიკა

# ერთი ჯოჯოხეთური დღე

**საქართველოს მთავრობა ქვეყანაში განვითარებული ბოლო მოვლენების ქრონოლოგიას აქვეყნებს.**

**01:05 საათზე — ოსმა სეპარატისტებმა ტყვედ აიყვანეს საქართველოს მოქალაქეები ნიქოზში, ძევერაში, ტყვიავში, კარალეთში (გორის ჩრდილოეთით). სოფელ ბერბუკის მოსახლეობა გზატკეცილზე დგას და ევაკუაციას ითხოვს;**

**08:00 საათზე — გორის რაიონის სოფელ კარალეთს ოსი სეპარატისტები თავს დაესხნენ. არის ინფორმაცია მოსახლეობაზე თავდასხმის და ძალადობის ფაქტების შესახებ;**

**09:12 საათზე — ოთხი სამოქალაქო ავტომანქანა გარდაცვლილი მგზავრებით აღმოჩენილი არის გორის რაიონის სოფ. თედოწმინდაში:**

**09:20 საათზე — 50 ერთეული ჯავშანტექნიკა ცხინვალიდან გორისკენ დაიძრა:**

**10:20 საათზე — რუსი ჯარისკაცები გორში შევიდნენ.**

**12:00 საათზე — რუსი ჯარისკაცები გორში გორის საარტილერიო ბრიგადას ანადგურებდნენ.**

**12:35 საათზე — ოსმა სეპარატისტებმა სოფელ ტყვიავში24 სამოქალაქო პირი მოიტაცეს. ავტობუსი, რომლითაც ისინი გადაჰყავდათ ცხინვალში, ავარიაში მოჰყვა და 4 ადამიანი გაიქცა.**

**13:00 საათზე — სოფ. ატოცში, ქარელის რაიონში ოსი სეპარატისტები შევიდნენ.**

**14:00 საათზე — რუსებმა ფოთში სამი სანაპირო დაცვის გემი ააფეთქეს.**

**14:20 საათზე — გორის მაცხოვრებლების დიდი ნაწილი სოფ. ატენისკენ, გორის სამხრეთში, გაიქცა.**

**14:45 საათზე — ფოტოგრაფ პაატა საბელაშვილის ინფორმაციით, გორის გზატკეცილზე ოსმა სეპარატისტებმა მინიავტობუსი დააყაჩაღეს და 25 წლის ქალი გაიტაცეს.**

**15:00 საათზე — რუსულენოვანმა სამხედროებმა გორთან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი გივი მთვარელიძე დააყაჩაღეს. გაიტაცეს მისი მანქანა და სხვა ნივთები.**

**15:15 საათზე — მოსახლეობა ოსი სეპარატისტებისგან გარბის სოფლებიდან ბოზნევი, მარანი, ძევერა, ხიდისთავი, ჭალაუბანი.**

**15:20 საათზე — საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი ალისია ვარდანიანის ცნობით, გორში დაიწყო მაროდიორობა. ადგილობრივი მცხოვრებლები იძარცვებოდნენ და რუსული ტანკები ანგრევდნენ სახლებს.**

**16:10 საათზე — რუსულმა ჯარმა გორიდან თბილისის მიმართულებით მოძრაობა დაიწყო.**

**17:00 საათზე — რუსულმა ჯარმა მიმართულება შეიცვალა და უფლისციხისკენ აუხვია.**

**17:05 საათზე — ევროკავშირის მინისტრებმა გაავრცელეს განცხადება, რომელშიც ხაზი გაუსვეს, რომ კონფლიქტი უნდა იქნას გადაჭრილი საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის კონტექსტში. მხარი დაუჭირეს საფრანგეთის პრეზიდენტ სარკოზის მიერ კონფლიქტის მოგვარების პრინციპებს და გამოთქვეს მზადყოფნა აქტიურად ჩაერთონ სამშვიდობო პროცესში, კონფლიქტის ზონაში საკუთარი წარმომადგენლობის ყოლის ჩათვლით.**

**17:15 საათზე — ადგილობრივი მოქალაქეების მიერ პოლიციისთვის მიწოდებული შეტყობინების მიხედვით, ოსი სეპარატისტების მიერ დაწიოკებული იქნა სოფლები: ავნევი, წერონისი, ქნოლევი, ხანდაკი, დოესი, ყარაღაჯი, ტყვიავი. გორის მაცხოვრებლები აიყვანეს მძევლად და გადააგზავნეს ცხინვალში.**

**17:50 საათზე — გორის მაცხოვრებლები ფეხით თბილისისკენ მოდიან, გაურბიან რა ოსი სეპარატისტების და რუსი ჯარის სასტიკ თავდასხმას.**

**18:00 საათზე — რუსმა სამხედროებმა თურქული სამგზავრო კომპანიის მძღოლები გაძარცვეს და ავტობუსები ჩამოართვეს.**

**19:00 საათზე — რუსეთის ჯარისკაცები გორი-ყინწვისის ეპარქიაში შევიდნენ, მეუფეს წაართვეს პირადი ნივთები, ეკლესიის ძვირფასეულობა და პრეზიდენტის მიერ ნაჩუქარი მანქანა.**

**20:12 საათზე — ქარელის რაიონის ბრეთის და არადეთის მოსახლეობა ტოვებს სოფლებს. ოსი სეპარატისტები სოფლებს ძარცვავენ.**

**21:10 საათზე — აშშ-ს მიერ ორგანიზებული პირველი სატვირთო თვითმფრინავი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაეშვა.**

**21:20 საათზე — რუსულმა ჯარმა უკან თბილისი-ფოთის გზატკეცილის ჩრდილოეთით დაიწყო დახევა.**

# რუსებმა ფოთის ბაზა მთლიანად გაანადგურეს

**ფოთში, სანაპირო დაცვის ბაზაზე რუსული რეგულარული არმიის ჯარისკაცები ხელახლა შევიდნენ.**

— მიუხედავად რუსულ მხარესთან მიღწეული შეთანხმებისა, ვანდალური ფაქტები კვლავ გრძელდება. გუშინ დილიდან რუსი ჯარისკაცები ხელმეორედ შეიჭრნენ სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ოპერაციების მართვის სამმართველოს ფოთის ბაზის ტერიტორიაზე და მოროდიორობას განაგრძობენ — დაზიანებულია და იძარცვება ფოთის ბაზის შენობა, ბოლომდე ნადგურდება პირველ დაბომბვას გადარჩენილი ინფრასტრუქტურა, სარადარო დანადგარები,— აღნიშნულია სასაზღვრო პოლიციის განცხადებაში.

მათივე ცნობით, ტერიტორიაზე შევიდა როგორც რუსული რეგულარული არმიის ცოცხალი ძალა, ასევე სამხედრო ტექნიკა. დადასტურებული ინფორმაციით, რუსი ჯარისკაცები ანადგურებდნენ მატერიალურ ფასეულობას, რის გატანასაც ტერიტორიიდან ვერ ახერხებდნენ.

პირველად რუსი სამხედროები სანაპირო ბაზის ტერიტორიაზე 12 აგვისტოს გამოჩნდნენ. ისინი ცდილობდნენ გაეტანათ ბაზაზე არსებული კომპიუტერული ტექნიკა, საკომუნიკაციო-კავშირგაბმულობის აღჭურვილობა.

13 აგვისტოს, ფოთში 7 ჯავშანსატრანსპორტო მანქანით ხელახლა შესულმა სამხედროებმა ვანდალურად, პირდაპირ სანაპიროზე ააფეთქეს სანაპირო დაცვის მცურავი საშუალებები. განადგურებულია 4 მცურავი საშუალება: სანაპირო დაცვის სადარაჯო ხომალდი „აიეტი“, რომელიც გერმანელებმა გადმოსცეს ქართულ მხარეს;

თანამედროვე სანავიგაციო სისტემებით აღჭურვილი საპატრულო კატარღა „ორბი“, ზ -205, 2007 წელს აშშ-ის მთავრობის დახმარების პროგრამის ფარგლებში სრულად იქნა მოდერნიზებული;

საპატრული კატარღა „გრიფი“- ზ-204 (უკრაინის მთავრობის მიერ გადმოეცა ქართულ მხარეს); საპატრულო კატარღა ზ-01 (აშშ-ს მთავრობის მიერ გადმოცემული).

მანამდე რუსულმა ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს ანაკლიაში, სანაპირო დაცვის სადგურზე. სამხედრო აგრესიის შედეგად დანგრეულია სანაპირო დაცვის სადგურის შენობა. შენობა აშშ-ს მთავრობის დახმარების პროგრამის ფარგლებში აშენდა და ექსპლუატაციაში 2008 წელს შევიდა. ასევე ამერიკული პროგრამის ფარგლებში აშენდა სანაპირო დაცვის ადმინისტრაციული შენობა, რომელსაც ამჟამად რუსული რეგულარული არმიის ჯარისკაცები ანადგურებენ. ზარალის ზუსტი ციფრი მოგვიანებით გახდება ცნობილი, თუმცა ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ზარალი ათეულ მილიონობით ლარს შეადგენს.

**ინტერპრესნიუსი**

ომის ექო

# გორი - დაბომბილი და უკაცრიელი

**85 წლის ირაკლი ყანდარელმა, მკერდს რომ საბრძოლო ორდენები და მედლები უმშვენებს, კეცა და კეცა ომის გზები, ვინ იცის, რა გრიგალები გამოიარა, ვიდრე ბერლინში, რაიხსტაგს მიადგებოდა. დაიჭრებოდა, გერმანელების ტყვია ან ყუმბარის ნამსხვრევი მოხვდებოდა, საველე ჰოსპიტალში გადაიყვანდნენ, იქ რუსი ექიმები უმკურნალებდნენ, ფეხზე წამოაყენებდნენ და ისიც ფრონტზე გარბოდა. მას შემდეგ ექვს ათეულ წელზე მეტი გავიდა...**

ამ დღეებში, გორი რომ იბომბებოდა, ირაკლი ყანდარელი კვლავ დაიჭრა — მაშ, რა არის, თუ არა ბედის ირონია?! — ამჯერად რუსული ყუმბარის ნამსხვრევით. ომის ვეტერანი სამხედრო ჰოსპიტალში მიიყვანეს და ახლა უკვე გერმანელმა ექიმებმა უმკურნალეს.

გორის ჰოსპიტლის სახურავზე უზარმაზარი წითელი ჯვარია გამოხატული, „რა დიდებული სამიზნეა“, — ალბათ, თუ იფიქრა რუსული ვერტმფრენის პილოტმა. მან ბომბი ზედ ჰოსპიტალზე ჩამოაგდო. სიკვდილის მანქანა შენობას აცდა და ეზოში აფეთქდა. ექიმი გოგა აბრამიშვილი კი სიგარეტის მოსაწევად გარეთ გამოსულიყო. ველარაფერი უშველეს კაცს, რომელიც სხვას შველოდა სიკვდილის დამარცხებაში.

ერთი ჩამოგდებული და აფეთქებული ბომბი სტალინის ქუჩაზე, საბავშვო ბაღის ეზოში ვნახე. ვჩქაროზ, დაგამშვიდოთ: აფეთქება ღამით მოხდა და არავინ დაშავებულა. ახლომახლო სახლებს რაც დაემართა, იმის აღწერას აქ არ შევუდგები. სახლები წინა დღეებში პატრონებმა საიმედოდ დაკეტეს და გაიქცნენ: მთავარია ხელში არ ჩაუვარდე კაზაკებს, მოთარეშე ოსებს და, რუსებსაც, სხვათა შორის.

ერთი ბომბი (მადლობა ღმერთს, არ აფეთქებულა!ძ დღესაც გდია ალმაშენებლის ქუჩა № 20-ში, ცირა დონდუაშვილის სახლის ეზოში. ვილაც სპეციალისტები მოდიან, ფოტოებს იღებენ და მიდიან. სახლი დაკეტილია და პატრონი თბილისშია წასული.

* * *

— უკაცრავად, რა ხდება ქალაქში? — ეზოს კარებიდან ქალმა თავი გამოყო და შეშინებულმა მკითხა.

ეს იყო ქალაქის ცენტრში ცენტრალური ბიბლიოთეკის წინ (რომელიც, როგორც ყველა სახელმწიფო დაწესებულება ან დაკეტილია, ან მიტოვებულიძ.

— ქალბატონო, გაიარეთ ქალაქში, ნუ გეშინიათ, არაფერი ისეთი არ ხდება.

— როგორ თუ ნუ მეშინია, ამბობენ, კაზაკები შემოვიდნენო.

კაზაკები კი არ ჩანან. მაგრამ ისინი, ვინც ჩანან, მტერს არ ვუსურვებ მათთან შეხვედრას.

ჭავჭავაძის გამზირზე თავქუდმოგლეჯილი მიჰქროდა მანქანა. მას სხვა მანქანა მისდევდა უკან. წამოეწია, გზა უყელა და აიძულა გაჩერებულიყო. სამხარეო პოლიციის შენობის წინ ვიდექი. ორი სამხედროფორმიანი, შაშხანიანი ახალგაზრდა გადმოხტა, ლულები მანქანაში მსხდომთ მიაბჯინეს და, გადმოდითო, უყვიროდნენ. ამასობაში მეც მივედი. ცნობისმოყვარეობა ძვირად დამიჯდებოდა, მანქანიდან — ქალი და კაცი იყვნენ, — ძალით რომ არ გადმოეყვანათ. ჩასხდნენ და გაიქცნენ. მანქანა მოიტაცეს. ეს ხომ ყაჩაღობაა! სასწრაფოდ იქვე, სამხარეო პოლიციაში შევედი — ბოლოს და ბოლოს, ჩემი პოლიცია მე მიცავს, — საქმის კურსში ჩავაყენებ-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ. დაკეტილი დამხვდა ყველა ოთახი, სამორიგეოც კი (!ძ. ღია იყო მხოლოდ პოლიციის უფროსისა და მისი მოადგილის კაბინეტები, მაგრამ თავად ისინი არსად ჩანდნენ.

* * *

გზაზე, სამხედრო ჰოსპიტლის შორიახლო, უცხოელი ჟურნალისტი გადამეყარა:

— ვერ მიმასწავლი სინაგოგის გზას?

— რატომაც არა, — ვუთხარი და როცა დავრწმუნდი, რომ რუსულისა არაფერი გაეგებოდა, გარდა იმისა, რაც რუსეთის შესახებ ამ დღეებში გაიგეს, ჩემი ინგლისურ-გერმანული აჯაფსანდლით და ჟესტიკულაციების აქტიური მოხმობით, სინაგოგისკენ გზა ვასწავლე.

მადლობა გადამიხადა და წავიდა.

* * *

— მართალია, რომ რუსებმა ფოსტა დაიკავეს?

— ვინ გითხრათ?

— ჩვენმა სასწავლო ნაწილის გამგემ.

— ქალბატონო, თქვენ ახლა ფოსტის წინ დგახართ. შედით და თავად გაარკვიეთ, რუსებმა დაიკავეს თუ პორტუგალიელებმა. ჯერ ერთი, ამ ფარღალალა შენობას, კარ-ფანჯრები რომ ერთიანად აქვს ჩალეწილი და უპატრონო ეკლესიას დამსგავსებია, რა დაკავება უნდა? შედი და დარჩი რამდენ ხანსაც გინდა.

— არა, გეთაყვა, იქ ვერ შევალ.

მე კი შევედი. საქმე იმაშია, რომ სასწრაფო მასალა უნდა გადამეცა რედაქციისთვის და ფაქსის ძებნაში მთელი ქალაქი შემოვიარე. სახელმწიფო ორგანიზაციები ან დაკეტილი, ან მიტოვებულია, კერძო მაღაზიებიც ასევე. ბოლოს გუბერნატორის უწყებაში წავედი. ქალაქის მთავარი შენობა კარებშენგრეული და ფანჯრებჩალეწილი დამხვდა. მთელ სამ სართულზე ძე-ხორციელის ჭაჭანება არ ისმოდა.

— თვითმმართველობა, უუუუუ!!!

არსაიდან ხმა, არსით ძახილი.



სად ხართ, ქალაქის მამებო, სახელმწიფო ჰიმნის შესრულების დროს გულზე ხელს რომ მიიდებთ და მალულად აქეთიიქით იყურებით — ქვეყნის პატრიოტი რომ ვარ, თუ მხედავენო, გხედავთ, გხედავთ, რა პატრიოტებიც ბრძანდებით, ერთხელ დაიქუხა და ვინ რომელ ჩირგვებში ჩაიმალენით, ღმერთმა უწყის. უმწყემსოდ დარჩენილი ხალხი კი განსაცდელსა და პანიკურ შიშში ჩატოვეთ. აფერუმ, თქვენს ვაჟკაცობას!

* * *

— ხომ ხედავთ, ქალაქში მანქანები არ დადის, მით უმეტეს, თბილისისკენ აღარაფერი წავა, იგოეთთან რუსები ჩამდგარან და გზები ჩაუკეტიათ, სხვა რამ იღონეთ, — მირჩია გამვლელმა.

მე მოარული ხმებისა არ მჯერა და აგერ ორი საათია ვდგევარ ქალაქის მოედანზე თაკარა მზეში. არც ავტობუსი, არც „მარშრუტკა“, არც არაფერი.

ბოლოს რკინიგზის სადგურს მივაშურე, ზღვა ხალხი ირევა პერონზე — საკუთარი სახლები ჩაუკეტიათ და გამოქცეულან (რუსები მიდიან!ძ. რკინიგზის გადაღმა, ქალაქის განაპირას, ე.წ. „ჭალაში“ ტყვიამფრქვევები კაკანებენ, ბოლოს, რაღაც აფეთქდა ისეთი, ვაგზლის შენობა შეაზანზარა. ეს მილეთის ხალხი შეშინებულ ქურის მხარეს გავარდა, აფეთქება აღარ განმეორებულა. ხალხი დამშვიდდა და პირჯვრის წერას მოუხშირა.

ვაგზალში მომსახურე პერსონალის ჭაჭანება არ იყო. ყველაფერი გამოეკეტათ, ჩაეხერგათ და წასულიყვნენ.

ჩვენდა მოულოდნელად მატარებელი მოვიდა. ეს იყო ოზურგეთი — თბილისი. ავედით. ჩვენ, ანუ ლტოლვილებს მგზავრობის საფასური არ გადაგვახდევინეს. მატარებლის ხელმძღვანელობამ სხვა მხრივაც გამოიჩინა ყურადღება და გულისხმიერება. თუმცა სწრაფი იყო, ყველგან აჩერებდა, თუნდაც პერონზე ორი კაცი მდგარიყო — ხიდისთავში, გრაკალშიც, მეტეხშიც, ქვემო ხანდაკშიც. მძიმე, ცრემლიანი დღე იდგა. თუკი საქართველოს რკინიგზა კიდევ არსებობს, ან მისი თავკაცები ადგილზე არიან, ამ გზააბნეული და გამწარებული ხალხის მადლობა მინდა გადავცე.

**გურამ ვაშაკიძე,**
**გორი-თბილისი**

კონფლიქტის ზონა

# ფრონეს ხეობა შველას ითხოვს

**რუსეთის საოკუპაციო არმიის ჯარისკაცების ბარბაროსული ქმედებები შიდა ქართლის რეგიონში გრძელდება. ძალიან მძიმე მდგომარეობაა შექმნილი ქარელის რაიონის იმ ქართულ სოფლებში, რომლებიც მდინარე ფრონეს ხეობაში, ყოფილ ზნაურის რაიონს ესაზღვრებიან. რამდენჯერმე დაიბომბა ქართული მოსახლეობა.** გუშინწინ, 13 აგვისტოს კი რუსების ტანკებმა პირდაპირი იერიში მიიტანეს ფრონეს ხეობაზე. მათ შემოჰყავდათ გათავხედებული ოსი მოთარეშეები, რომლებიც ავტომატური იარაღით არიან შეიარაღებულნი და ყველაფერზე მიდიან: ძარცვავენ ქართველთა სოფლებს, დაიწვა ცერონისის საშუალო სკოლის შენობა, გადაწვეს და ააოხრეს ქართლის რაიონის სოფლები: კნოლევი, ავლევი, ცერონისი, ატოცი... მოსახლეობა, ვინც მოასწრო, მოთარეშეებს გაერიდა. მათ თავი ძირითადად ხაშურის რაიონს შეაფარეს. 13-14 აგვისტოს ბევრმა მინდვრებსა და სოფლის გარეუბნებში გაათენა და იქიდან უყურებდნენ, თუ როგორ იწვოდა მათი სახლ-კარი. მოსახლეობაში არიან დაჭრილები. ოსებს ზნაურის მიმართულებით ტყვეებიც მიჰყავთ. არ ინდობენ დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს. არავინ იცის, რა ბედი ეწიათ სოფლებში დარჩენილ ადამიანებს. აქეთ გამოსულები წუხან თავიანთ ახლობლებზე. სატელეფონო კავშირი კი ამ სოფლებთან გათიშულია. დაუსჯელობით გათამამებული სეპარატისტები კი ამ წუთსაც ძალმომრეობას განაგრძობენ მშვიდობიან ქართულ მოსახლეობასთან.

ფრონეს ხეობის მოსახლეობა აგრესორებისგან დაცვას მოითხოვს. აუცილებელია მათი სასწრაფო დახმარება.

**ლია ჭიღლაძე**

ინფორმაცია

## გუშინ შუადღისას გორში ვითარება დაიძაბა

**გორის** შესასვლელთან რუსული ტანკები და ჯარისკაცები იდგნენ. ისინი ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებს ქალაქში არ უშვებდნენ.

ქალაქის შესასვლელთან სამი რუსული ტანკი იდგა.

— აქ რუსი სამხედროებიც იმყოფებიან და ჟურნალისტებს ქალაქში შესვლის საშუალებას არ აძლევენ. აქვეა სამხედრო ფორმაში ჩაცმული რუსი ეროვნების პირი, რომელსაც თან ავტომატური იარაღი და პისტოლეტი აქვს. იგი ვიდეოკამერით ყველაფერს აფიქსირებს. ეს ადამიანი არაფხიზელ მდგომარეობაშია და ხშირად უმისამართოდ ისვრის. რამდენიმე წუთის წინათ სროლას ერთი გერმანელი ჟურნლისტი შემთხვევით გადაურჩა. შეიარაღებული პირი ვლადიკავკაზის სანომრენიშნიანი თეთრი „ნივით“ მოძრაობს“, — იუწყებოდა „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი. მისივე ინფორმაციით, ქუჩაში რამდენიმე მოქალაქეს ავტომანქანაც წაართვეს.

გორის შესასვლელთან თითქმის მთელი მსოფლიოდან 70-მდე ჟურნალისტი იმყოფებოდა.

რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილებს გორი უნდა დაეტოვებინათ, რაც არ შესრულდა, მათ პირობა კვლავ დაარღვიეს.

## რუსულმა ნაწილებმა ფოთი და სენაკი ააოხრეს

**რუსეთის** რეგულარული ჯარის ნაწილები ფოთსა და სენაკში კვლავ გამოჩნდნენ.

ფოთში, სანაპირო დაცვის ბაზაზე კვლავ ნადგურდება ქართული მხარის კუთვნილი ქონება.

გარდა ამისა, ორი აფეთქება მოხდა სენაკის სამხედრო ბაზაზე. განადგურებულია ბაზის ტერიტორიაზე არსებული იარაღის საწყობი.

რუსეთის სამხედრო ტექნიკამ ფოთის სამხედრო პორტის ტერიტორია დაიკავა. ეს ის ტერიტორიაა, სადაც ორი დღის წინათ რამდენიმე სამხედრო გემი ააფეთქეს. არსებული ინფორმაციით, სამხედრო გემები გუშინაც ააფეთქეს.

რუსული სამხედრო ტექნიკა განლაგდა ფოთის შემოსასვლელში, ნაბადის ტერიტორიაზე. ეს არის დაუსახლებელი, ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორია, სადაც ადრე სამხედრო ბაზები არსებობდა.

რუსი სამხედროები ამ ტერიტორიას ათვალიერებდნენ, მათ აინტერესებდათ, იყო თუ არა იქ რაიმე სამხედრო ტექნიკა გადამალული.

რაც შეეხება უშუალოდ ქალაქისა და ნავსადგურის ტერიტორიას, იქ რუსული ტანკები არ შესულან.

## სვანები ამგვარ ვითარებას დიდხანს ვერ შეეგუებიან

**სვანეთის** მოსახლეობა რეგიონში რუსული ჯარის შესვლის შესახებ იტყობინება და საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას ითხოვს.

სვანეთის რეგიონში — ჯვარიდან ჭუბერამდე — რუსული ჯარი დგას.

გამგეობა თუ გუბერნატორი ამის საწინააღმდეგოდ ვერაფერს აკეთებენ. აქ ჯერ სიმშვიდეა, მაგრამ ამ ვითარებას დიდ ხანს ვერ შევეგუებით და, შესაძლოა, აქაც დაიძაბოს სიტუაცია, რაც, პირველ რიგში, რუსეთს აძლევს ხელს. ამიტომ, იქნებ, საერთაშორისო დამკვირვებლები და ტელევიზიები სვანეთშიც ამოვიდნენ. რუსულ ჩექმას სვანეთში არაფერი ესაქმება. ახალგაზრდებს ძლივს ვაკავებთ, რომ აქ დაპირისპირება არ დაიწყოს, — აცხადებს ხაიშის მოსახლეობა.

ინტერპრესნიუსი

ექსკლუზივი



***რუსული** ავიაციის ინტენსიური დაბომბვის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი გორისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ღამეებს დღემდე ქუჩაში ათევს. სახალხო დამცველის სოზარ სუბარის განმარტებით, ჩვენი ხელისუფლება არანაირად არ აღმოჩნდა მზად დევნილთა უსაფრთხოებისა და სოციალური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად. ასევე ბოლო წუთამდე ვერ ხერხდებოდა კონფლიქტის ზონაში ჩარჩენილი მოსახლეობის სრული ევაკუაცია, რომელთა უფლებებზე რომ არაფერი ვთქვათ, მათი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.*

*რა კეთდება და რა შეიძლება გააკეთონ მათი უფლებების დასაცავად, როგორც ჩვენმა ხელისუფლებამ, ისე საერთაშორისო საზოგადოებამ? ვინ უნდა აგოს მომხდარზე პასუხი და როგორ უნდა მოხდეს დევნილთა მორალური თუ მატერიალური ზარალის ანაზღაურება? ამ და სხვა კითხვებით სახალხო დამცველს, სოზარ სუბარს მივმართეთ.*

## სოზარ სუბარი:

# „ჩვენი ხელისუფლება ბოლო წუთამდე არ აღიარებდა, რომ დევნილები გვყავდნენ“

### სახალხო დამცველს ნაკლებად სჯერა, რომ 58-ე არმიის გენერლებს ვინმე გაასამართლებთ

**— ბატონო სოზარ, ამ ეტაპზე როგორ ეხმარება დევნილთა შტაბი კოფნლიქტის ზონიდან ევაკუირებულ მოსახლეობას?**

— დავიწყოთ სამწუხარო ფაქტით – აღმოჩნდა, რომ მთელი ამ დღეების განმავლობაში, რაც საომარი მოქმედებები დაიწყო და გორი და მიმდებარე სოფლები მოსახლეობისგან დაიცალა, სახელმწიფო სტრუქტურებში თითქმის არაფერი კეთდებოდა დევნილთა დასახმარებლად. მეტიც, საერთოდ არ უნდოდათ აღიარება, რომ დევნილები გვყავს და მათი რიცხვი უკვე რამდენიმე ათეულ ათასს აღწევს. ასეთ პირობებში იძულებული გავხდით ჩვენს თავზე აგველო გარკვეული მაკოორდინირებელი სტრუქტურის ფუნქცია და დევნილთა შესახლება სხვადასხვა დაწესებულებაში დავიწყეთ ზოგჯერ ეს კანონის ფარგლებსაც სცდებოდა, მაგრამ ვიმეორებთ, ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა, მოსახლეობა უსახლკაროდ იყო დარჩენილი.

**— კანონის ფარგლებში რას გულისხმობთ?**

— აი, მაგალითად, რამდენიმე დევნილი შევასახლეთ სკოლის შენობაში, საბავშვო ბაღში, რისი უფლებაც არ გვქონდა, იმიტომ, რომ ეს არ შედის ჩვენი უწყების პრეროგატივაში.

ძალიან დიდი თანადგომა გაგვიწია მოსახლეობამ, განსაკუთრებით პირველ დღეებში, როცა დევნილთა პირველი ნაკადი მივიღეთ, ინტენსიურად მოჰქონდათ საკვები, ტანსაცმელი, მედიკამენტები და ა. შ.

საოცარია, მაგრამ როცა კონფერენცია ჩავატარე საზოგადოების უფრო დეტალურად ინფორმირებულობისთვის დევნილთა შტაბისა და მისი საქმიანობის შესახებ, რათა სახელმწიფო სტრუქტურებისთვის მომეწოდებინა, ყურადღება მიექციათ უსახლკაროდ დარჩენილთათვის, არც ერთმა ტელეარხმა ეს არ გააშუქა. მიზეზი მარტივია და ამაზე ზემოთაც ვისაუბრე: ჩვენი ხელისუფლება ბოლო წუთამდე არ აღიარებდა, რომ დევნილები გვყავს.

ამ ეტაპზე აქტიურად ვმუშაობთ უცხოურ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან, რომელთა მხრიდან ველოდებით ძალიან სერიოზულ დახმარებას. ერთ-ერთი ასეთი გერმანული ორგანიზაცია ამ დღეებში გადმოგვირიცხავს სამოცი ათას ევროს, რაც დაახლოებით ათასი დევნილის სოციალური უზრუნველყოფისთვის იქნება საკმარისი.

**— საუბრის დასაწყისში თქვენ თქვით, რომ წინა დღეებში დევნილთა დასახმარებლად პრაქტიკულად არაფერი კეთდებოდა. მიმართეთ თუ არა რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურას ამის თაობაზე?**

— ჩვენ მივმართეთ აბსოლუტურად ყველა სახელმწიფო სტრუქტურას და მათგანაც იყო გარკვეული რეაგირება, ანუ ამჟამად ჩვენ ვცდილობთ მოვიცილოთ ის ფუნქცია, რომელიც უშუალოდ ჩვენი პრეროგატივა არ არის.

ამის შემდგომ, ვაპირებთ ახსნა-განმარტება ჩამოვართვათ ყველა დევნილს, ვინც ხედავდა, რაც ხდებოდა კონფლიქტის ზონაში. ეს საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ კონკრეტული ფაქტების ზუსტი დოკუმენტირება, თუ როგორ იქცეოდნენ ე. წ. რუსი სამშვიდობოები, მათთან ერთად მყოფი ოსი სეპარატისტები, ჩრდილო კავკასიელ ოევიკთაგან შემდგარი დაჯგუფებები... ეს ყველაფერი გამოძიებისთვის გვჭირდება, რომელიც საბოლოოდ ევროსასამართლოს წარედგინება... ბოლოს და ბოლოს, დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ, თუმცა აქვე ვიტყვი, ნაკლებად მჯერა, რომ 58-ე არმიის გენერლებს ვინმე გაასამართლებს.

**— ამ დროისთვის შიდა ქართლიდან და სამხრეთ ოსეთიდან რამდენი დევნილია შემოსული და არის თუ არა ყველა მათგანი დაბინავებული?**

— დევნილთა ზუსტი რიცხვი ჩემთვის უცნობია, თუმცა რამდენიმე ათეულ ათასს აჭარბებს. რაც შეეხება დაბინავებას, უამრავი დევნილი დღემდე უთავშესაფროდაა დარჩენილი. გუშინ შემატყობინეს, რომ ინფექციური საავადმყოფოს ტეგორიული უარი გვითხრა, სასწრაფოდ მოიჭრა და რამდენი მეთანამოაზრესთან ერთად უსახლკაროდ დარჩენილი ხალხი, იქიდან გაყარა.

**— რაც შეეხება ადამიანის უფლებების დარღვევას, კონფლიქტის ზონაში მყოფმა ე. წ. რუსმა სამშვიდობოებმა და მათთან ერთად მყოფმა ოსებმა, ბოლო დღეებში მაროდიორობა დაიწყეს. თქვენ გაქვთ თუ არა რამე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ექცეოდნენ იქ ჩარჩენილ მოსახლეობას?**

— ძირითადად ფულს სძალავდნენ. გაიტაცებდნენ რამდენიმე ადამიანს, შემდეგ უშვებდნენ ერთ-ერთს და ის ატყობინებდა დაკავებულის ოჯახს, რომ თუ არ გადაიხდიდნენ 10 000 ლარს, ტყვედ აყვანილს დახვრეტდნენ. ასევე, საცხოვრებელ სახლებს ცხრილავდნენ, ანგრევდნენ, რაც მიზნად ისახავდა იმას, რომ ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას რაც შეიძლება დიდხანს ვერ შეძლებოდა დაბრუნება. იყო შურისძიების მომენტიც, მოგეხსენებათ, რომ შენობიდან გამოუძახებიათ რამდენიმე ოჯახი და უთქვამთ, საერთოდ რას მოდიოდითო... ასევე უამრავი ლტოლვილი გამოყარეს ქუჩაში სხვა ობიექტებიდან და ისინი დღემდე ღია ცის ქვეშ ცხოვრობენ... თუმცა, იმედი მაქვს მალე სადმე შეასახლებენ...

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ვინმეს უფლებები არ დაირღვეს. რამდენიმე ადამიანს ჩვენს ოფისშიც გავათენებინეთ ღამე.

გუშინ ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა და ოთახები არ გვყოფნიდა, არადა, მათ წასასვლელი არსად ჰქონდათ, ქუჩაში რჩებოდნენ. ჩვენი შენობის პირველ სართულზე ქალბატონი მანანა გამსახურდიას ოფისია, რომელიც ამჟამად ცარიელია... დავურეკე და ვთხოვე ერთი ღამით ჩვენთვის დაეთმო ოთახები. მან კასაომარი მოქმედებების დაწყებიდან პირველივე დღეებში სეპარატისტებმა ცოცხალი ძალის ძალიან დიდი დანაკლისი განიცადეს ...

**— ჩვენ გვაქვს კულუარული ინფორმაცია, რომ იყო გაუპატიურებისა და წამების ფაქტებიც.**

— დიახ, ეს აბსოლუტურად მართალია. მე ყოველდღე, ყოველ წუთს მირეკავდნენ და მატყობინებდნენ, რომ მოსახლეობა საშინელ დღეშია.

**— და რა რეაგირებას ახდენდით?**

— ჩვენ, სამწუხაროდ, არაფერი შეგვეძლო. მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებს მივმართავდით.

**— ისინი რა ზომებს ღებულობდნენ?**

— მათი შესაძლებლობებიც მეტად შეზღუდული აღმოჩნდა. ერთადერთი, რასაც ახერხებდნენ, ის იყო, რომ რუს კოლეგებს უკავშირდებოდნენ და საქმის ვითარებას აცნობდნენ, თუმცა მათი პასუხი ყოველთვის უარყოფითი იყო; ამბობდნენ, რომ სეპარატისტების გაკონტროლება და მათი ყოველი ნაბიჯის შემოწმება შეუძლებელია და ეს გარკვეულწილად ასეც არის, თუმცა რუსულ მხარეს რომ მოეთხოვა ყაჩაღობისა და მაროდიორობის აღკვეთა, ცხადია, საბოლოოდ წერტილი დაესმებოდა ყოველგვარ ბოროტმოქმედებებს.

ამ ეტაპზე რუსეთი საინფორმაციო სივრცეშიც გვებრძვის. არ მინდა, ახლა ამაზე ვისაუბრო, მაგრამ, ჩვენი საინფორმაციო სამსახურები შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ... ზოგადად ჩვენი მიდგომა არასწორი იყო მთელი ამ მოვლენების მიმართ, რაც ოთხი დღის წინათ გამართულმა აქციამაც ცხადყო. ანუ, იმის თქმა მსურს, რომ 12 აგვისტოს პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე ჩვენ ვზეიმობდით, გვიხაროდა, არ ვიცი, რა, მაგრამ ნამდვილად ვილხენდით. ეს ცხადად მოწმობს იმას, რომ ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელობა სათანადოდ ვერ აფასებდა და ვერც ახლა აფასებს შექმნილ ვითარებას...

**ბოლოთქმა:** ვითომ „ახალი“ გვითხარით, ბატონო სოზარ! განა არ ვიცით, რომ ჩვენი ხელისუფლება ბევრი რამეში სცოდავდა და ახლაც სცოდავს? ღმერთმა მოთმინება და გამძლეობა მოგვცეს.

ინტერვიუს ჩაწერის განმავლობაში, რომელიც დაახლოებით ერთი საათი გაგრძელდა, სახალხო დამცველს მინიმუმ ათჯერ მაინც დაურეკეს – კონფლიქტის ზონაში ჩარჩენილი მოსახლეობა სასოწარკვეთილი ხმით ევედრებოდა ბატონ სოზარს, როგორმე აქედან გაგვიყვანეთო. სახალხო დამცველი შეწუხებული იყო, ვინაიდან, როგორც ინტერვიუში აღნიშნა, ის უძლური იყო...

**ჯაბა ჟვანია**
**ინტერვიუ ჩაწერილია**
**13 აგვისტოს.**

რა ხდება?

### რუსეთში ქართველებს ხოცავენ, ლარსიდან კი ათასობით ქართველს არ უშვებენ

**რუსეთში** მცხოვრები ქართველების მდგომარეობა საგანგაშოა. ლარსის საზღვრიდან შემოსვლის ნებართვას სამი დღეა რუსეთში მცხოვრები ათასამდე ქართველი ელოდება.

ამის შესახებ ინფორმაციას დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ავრცელებს.

როგორც დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან იტყობინებიან, რუსეთში ქართველების მდგომარეობა საგანგაშოა. ახალგაზრდა რუსი ექსტრემისტები ქართველების არაადამიანურ დევნას, შევიწროებასა და მკვლელობებს ახორციელებენ. დაუზუსტებელი ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ ორი დღის წინ ქალაქ მოსკოვში, ქართველობის გამო, განსაკუთრებული სისასტიკით აწამეს და მოკლეს ოთხი ქართველი. პეტერბურგის ოლქში იგივე მეთოდების გამოყენებით 17 ქართველი სიცოცხლეს გამოასალმეს. ასევე, ვლადიკავკაზში ქართველების ბაზრის დარბევისას, ოსებმა არაადამიანურად სცემეს მხცოვანი ქალბატონები, ყოვლად დამამცირებლად მოეპყრნენ სხვა ქართველებსაც. რუსეთის მიერ ხელოვნურად დაკეტილ ლარსის საზღვართან კი უკვე სამი დღეა დგას ათასამდე ქართველი ლტოლვილი, რომელიც საქართველოში შემოსვლის ნებართვას ითხოვს. რუსული მხარე ქართველ დევნილებს არ ატარებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს ფეხქვეშ თელავს და მსოფლიოს კიდევ ერთხელ ანახებს რუსეთის შოვინისტურ სახეს, – აცხადებენ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში.

### ოსები რუსების თანდასწრებით ჟურნალისტებს ძარცვავენ

**გუშინ** ქალაქ გორის შესასვლელში, იქ სადაც რუსული საოკუპაციო ჯარის ნაწილები და ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები ერთმანეთის პირისპირ დგანან ინციდენტი მოხდა.

საოკუპაციო არმიის რიგებს გამოყოფილმა რამდენიმე ოსმა ბოევიკმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალიტებს ავტომობილი ნივა წაართვა. უცხოელ ჟურნალისტებს კი მათი კუთვნილი „მერსედესის“ ტიპის ავტომობილი.

### დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობებს სახალხო დამცველის ოფისი უზრუნველყოფს

**10 დღის** განმავლობაში ათასი დევნილის საყოფაცხოვრებო პირობებს სახალხო დამცველის ოფისი უზრუნველყოფს. ამის შესახებ ომბუდსმენის მოადგილემ, სოფიო ხორგუანმა განაცხადა. მისი თქმით, გერმანული საერთაშორისო ორგანიზაციის, „კატასტროფის ცენტრის“ მიერ იძულებით გადაადგილებული პირების დასახმარებლად სახალხო დამცველის ოფისს 60 ათასი ევრო გადმოერიცხა.

მისივე თქმით, დღეს ომბუდსმენის ოფისი ასრულებს ჰუმანიტარული დახმარების მიღებას კერძო კომპანიებისა და რიგითი მოქალაქეებისგან, რადგან, მისი განცხადებით, შესაბამისი შტაბი უკვე მუშაობს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში.

ის დახმარება, რომელიც სახალხო დამცველის ოფისშია შემოსული სხვადასხვა კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს დაურიგდებათ. ესენია კვების პროდუქტები, საყოფაცხოვრებო ნივთები, მედიკამენტები და ტანსაცმელი, – აღნიშნა ხორგუანმა.

### ესტონეთი დამატებით მილიონი ევროთი დაგვეხმარება

**ესტონეთის** მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველო დამატებით ჰუმანიტარულ დახმარებას მიიღებს. კრიზისულ რეგიონში დაგეგმილია საველე სამედიცინო ბრიგადის გაგზავნაც. სხვადასხვა სახის პირველადი მოხმარების საგნები საქართველომ ესტონეთიდან მანამდეც მიიღო, მათ შორის ნანგრევებიდან მოსახლეობის ამოყვანისთვის საჭირო მოწყობილობები და სასწრაფო სამედიცინო ავტომანქანებისთვის განკუთვნილი აპარატურა. ესტონეთის ხელისუფლების მხრიდან გამოყოფილი ჰუმანიტარული ტვირთის საერთო ღირებულება ოთხი მილიონი კრონის, ერთი მილიონი ევროს ღირებულებაა.

**ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი**

# ვისთვის მუშაობს დრო?

№ 152. პარასკევი, 15 აგვისტო, 2008 წელი.

## შტატებიდან



ვასილ ჯაიანი

# ასეთ აგრესიას არავინ ელოდა

**8 აგვისტოს შემდგომ ინტერნეტი, ფაქტობრივად, ერთადერთ ქმედით საკომუნიკაციო საშუალებად გადაიქცა, როგორც საქართველოში, ასევე მის გარეთ მყოფ ქართველთა და საქართველოს გულშემატკივართათვის. რამდენად უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, პარასკევსვე, თუ არ ჩავთვლით „სკაიპს“, სწორედ რუსული საიტი „ოდნოკლასსნიკი.რუ“ უცხოეთსა და საქართველოს შორის ცხელი ამბების უფასოდ და ოპერატიულად გაცვლა-გამოცვლის არენა გახდა. იმ დღესვე ამ ვებგვერდზე გაწევრებულთა ფოტოსურათების ნაცვლად საქართველოს დროშები, საქართველოს სიმბოლოები დაიდო. მაგრამ ხუთჯვრიანები საშინელი სიჯიუტით ქრებოდა დადებისთანავე.... ამბობდნენ, რომ ამ საიტს „კაგებე“ თუ „ფეესბე“ აკონტროლებსო... დაე, აკონტროლონ, ოღონდაც საქართველოს ნუ გააკონტროლებენ! ამას როგორმე მოვუვლით....**




რუსული საიტის მესვეურები ინტერნეტში ქართულ დროშებსაც ებრძოდნენ... ისევე როგორც ბლოკავდნენ სხვა ქართული თუ უცხოური საიტების მისაწვდომობას. მაგრამ მაინც, ღმერთმა უწყის რამდენი საქართველოსა თუ უცხოეთში მცხოვრები ქართველის თუ არაქართველის პეტიცია, გაფრთხილება, ანონსი, ლოცვა, CNN-ისა და BBC-ის გამოკითხვები, ძველი და სახლდახელოდ შექმნილი ბლოგები, მოწოდებები, საპროტესტო აქციის ტექსტები, ქართული საინფორმაციო საშუალებების ცნობები აბსოლუტურად უცნობი ადამიანების, ქართველების, რუსების, ჩეჩნების, ყოფილი სსრკ-ის ქვეყნების წარმომადგენლების შეშფოთებული ხმა მოვიდა ჩვენამდე. ამ მესიჯებში ბევრი ჭორი და სასოწარკვეთაც იყო, მაგრამ უფრო მეტი მწარე და დაუჯერებელი სიმართლე... ჩვენ, უცხოეთში მცხოვრები ქართველები, სწორედ ინტერნეტში ვხვდებოდით ერთმანეთს და ერთად ვყვიროდით ხმის ჩახლეჩამდე, ვტიროდით, თავად სასოწარკვეთილნი ერთმანეთს ვამხნევებდით, „ჰეი!“ შემოვძახებდით ხოლმე... რამდენი „საქართველო, საქართველო!“, „ვაიმე!“, „ნუ გეშინიათ!“, „დაწყნარდით!“, „რა დავაშავეთ?!“, „ჩვენ გავიმარჯვებთ!“, “დავიღუპეთ!“, „ღმერთო, შეგვიწყალე!“, „SOS!“, „მამაო ჩვენო, „უფალო ჩვენო!“ ასობით ძახილის ნიშნით დაიწერა იმ დღეებსა და უძილო ღამეებში, ღმერთმა უწყის...

ინტერნეტის გამოუცნობი გზებით ჩემამდე ერთ-ერთი პირველი მოვიდა ინგლისურენოვანი პეტიცია – მიმართვა ამერიკას, ევროპასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელსაც უკვე რამოდენიმე ათასმა ადამიანმა მოაწერა ხელი.

მისი ავტორი 27 წლის **ვასილ ჯაიანია,** ცხოვრობს და მუშაობს აშშ-ში ფლორიდაში, მაგრამ ისევე როგორც ყველა აქ მყოფი, ახლა მთელი გონებით, გულითა და სულით სამშობლოშია... მისი პეტიცია, ალბათ, ვერასოდეს მოკრებდა ამდენ ხელმომწერს, რომ არა დალოცვილი ინტერნეტი...

ვასო რუსეთში დაიბადა, თუმცა მალევე ოჯახი საქართველოში დაბრუნდა, დაამთავრა თსუ სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფიის სპეციალობით ბაკალავრის ხარისხით, მერე „გიპა“ – 2005 წელს, როგორც თავად ამბობს, შემდგომ სწავლობდა ცენტრალური ევროპის ინსტიტუტში, იქ მაგისტრის ხარისხი მიიღო პოლიტიკურ მეცნიერებაში, ხოლო 2006-2008 წლებში აშშ-ის ჯორჯიის უნივერსიტეტში სწავლის შემდეგ სახელმწიფო მმართველობის მაგისტრის წოდება გადაეცა.

– შარშან ზაფხულს ჩიკაგოს მერის ადმინისტრაციაში ვმუშაობდი. – განაგრძობს ვასო. – ამჟამად კი ფლორიდაში, მაიმი ბიჩში, ქალაქის მენეჯერის ოფისში ვმუშაობ. მანამდე კი საქართველოში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატში უფროსი სპეციალისტი (2005-2006წ გახლდით. 2006-2008 წლებში ვმუშაობდი ჯორჯიის უნივერსიტეტთან არსებულ საერთაშორისო დემოკრატიული მმართველობის ცენტრში (2006-2008წ.

**– როგორც თქვენგან გავიგე, პაპა და ბებია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მუშაობდნენ...**

– დიახ. პაპაჩემი თენგიზ ყიფიანი 50 წელზე მეტი „საქართველოს რესპუბლიკაში“ მუშაობდა. იგი უკვე გარდაიცვალა. ბებია მარგო ლეკიშვილი კი დამსახურებული კორექტორია. ორივეს, თუ არ ვცდები, გაზეთის წინაშე დამსახურებებისთვის ორდენებიც კი გადასცეს.

**– საქართველოში რუსეთის ინტერვენცია ყველასთვის აბსოლუტურად მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო...**

– მე აქტიური კავშირი მაქვს უცხოეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეებთან და ყველა გაოგნებულია იმით, თუ რა ხდება ჩვენს სამშობლოში. თუმცა საომარი მოქმედებების დაწყებით გამოწვეული შოკის გადალახვის შემდეგ ყველა რუსული აგრესიის წინააღმდეგ მასობრივი პროტესტის გამოსახატავად და აგრეთვე საერთაშორისო აზრის მობილიზებისათვის არის მიმართული. აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ფორუმებზე, ნეთვორკებსა და ვებგვერდებზე რუსეთის ინტერვენციის დასაგმობად მიმართული ორგანიზებული კამპანიები. კერძოდ, facebook-ში იქმნება ჯგუფები, სადაც ქართველებთან ერთად, უცხოელი ახალგაზრდებიც ერთიანდებიან რუსეთის ქმედებების მიმართ პროტესტის გამოსახატავად. უცხოეთში მყოფი ყველა ქართველი აქტიურად ცდილობს, რომ უცხოელ ნაცნობებსა თუ უცნობებს გააცნოს საქართველოში არსებული მძიმე მდგომარეობა და მათი მხარდაჭერა მოიპოვოს. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე საქართველოსთვის უმთავრესია დასავლეთის ქვეყნებში რუსეთის ქმედებების მიმართ მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულების განმტკიცება. იმ შემთხვევაში, თუ ამ დამოკიდებულებას აშშ-ს და ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეთა დიდი რაოდენობა გაიზიარებს და საკუთარ პოლიტიკოსებზე მოახდენს გავლენას, ამ ქვეყნების ლიდერებმა, შესაძლოა, უფრო ქმედითი ნაბიჯები გადადგან რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად.

**– რამდენმა მოაწერა ხელი შენს მიერ შექმნილ და გავრცელებულ პეტიციას?**

– პეტიცია დავწერე 9 აგვისტოს, რათა ამერიკელ და ევროპელ პოლიტიკოსებისთვის კიდევ ერთხელ მიგვეწვდინა ჩვენი ხმა. სამ დღეში 10000-ზე მეტი ხელმოწერა შეგროვდა უკვე, ხალხი კვლავ აწერს ხელს.. თუმცაღა ვთვლი, რომ მეტია საჭირო...

**– პეტიციებისა და დემონსტრაციების გარდა კიდევ რისი გაკეთება შეგვიძლია ამერიკაში თუ სხვაგან მცხოვრებ ქართველებს?**

– ამერიკასა და უცხოეთის სხვა ქვეყნებში მყოფმა ქართველებმა აქტიურად და მიზანმიმართულად უნდა ვიმუშაოთ, რათა უფრო მეტი მხარდაჭერა მივიღოთ დასავლეთის ქვეყნებიდან. უნდა გავავრცელოთ მიმართვები, პეტიციები, გავმართოთ საპროტესტო აქციები. უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ამერიკის და ევროპის ქვეყნების დღის წესრიგში საქართველოს პრობლემის გადაჭრა უფრო მეტად აქტიურად განიხილებოდეს. ვისაც ინტერნეტით სარგებლობა შეგვიძლია, ყველა ღონე უნდა ვიღონოთ, რომ რუსეთს საინფორმაციო და P.R. ომი მოვუგოთ. ამისთვის, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მიზანმიმართული P.R. უნდა ვაწარმოოთ. მაგალითად, როცა პეტიციას ვავრცელებდი, მე მას განზრახ ვუგზავნიდი ისეთ ადამიანებს, ვისაც მასობრივად შეუძლია ინფორმაციის გავრცელება (ნეთვორქ ჯგუფების ადმინისტრატორები, ბლოგგერები, საერთაშორისო სტუდენტური ასოციაციები, ვებგვერდების ადმინისტრატორები და ა. შ.ძ. სხვა ქართველმა მოქალაქეებმაც იგივე უნდა გააკეთონ.

**– ბევრი დაიბნა ამ დღეებში...**

– ვხედავ, რომ რუსეთის მიერ წარმოებული ბინძური კამპანიის წყალობით ბევრმა ვერ გაიგო რა ხდება, ამიტომ მაქსიმალურად უნდა მოვახდინოთ საინტერნეტო რესურსის მობილიზება, ყველას გავაგებინოთ, თუ რა ხდება სინამდვილეში და რა არის ამ კონფლიქტის რეალური მიზეზი.

**– მეც მაქვს ჩემი ფართო საინტერნეტო ქსელი და ყველას ვეკითხები, მოელოდნენ თუ არა მოვლენების ასეთ განვითარებას? ... პასუხია – არა, არანაირად!**

– არავინ ელოდა ასეთ აგრესიას. საუბედუროდ, არსებულთა შორის ყველაზე უარესი სცენარი გათამაშდა. ახლა ჩვენ ვართ მსოფლიო ახალი წესრიგის ან სულაც, უწესრიგობის შექმნის მოწმენი. აბსოლუტურად დაუჯერებელია ის, რაც ხდება. მიუხედავად მცდელობისა, იმედგამაცრუებელია ამერიკისა და ევროკავშირის ქვეყნების ჩარევა. მაინც ვიმედოვნებ, რომ ისინი უფრო ქმედით ნაბიჯებს გადადგამენ და შეაჩერებენ შეურაცხად რუსულ სამხედრო მანქანას.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**
**ნიუ-იორკი-მაიამი ბიჩი, აშშ**

# ვასილ ჯაიანის პეტიცია

## შეაჩერეთ რუსეთის უკანონო სამხედრო ინტერვენცია სუვერენულ საქართველოში!

### აშშ-ის პრეზიდენტსა და კონგრესს; ევროპის საბჭოს; ევროკომისიის პრეზიდენტს; ნატოს გენერალურ მდივანს; ეუთოს

**2008 წლის 8 აგვისტოდან მთელი მსოფლიო თვალს ადევნებს დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოში რუსეთის მიერ განხორციელებულ სამხედრო ინტერვენციას. რუსეთის ფედერაციიდან ათასობით ჯარისკაცმა და ტანკმა უკანონოდ გადმოკვეთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საქართველოს საზღვრები და ფართომასშტაბიან შეტევას აწარმოებს ქართულ საჯარისო შენაერთებზე. მეტიც, რუსულმა თვითმფრინავებმა დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე და შეტევებს ახორციელებდნენ კონფლიქტის ზონის გარეთ არსებულ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებზე. საჰაერო შეტევების შედეგად ასობით სამოქალაქო მცხოვრები დაიღუპა და დაზარალდა.**

**რუსეთის ინტერვენციის ძირითადი მიზეზია საქართველოს ახლო ურთიერთობა აშშ-თან, ევროკავშირის ქვეყნებთან და სურვილი ააშენოს თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოება. რუსეთის სამხედრო აგრესია მიმართულია საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში და ევროკავშირში გაწევრების მისწრაფების ჩასაკლავად.**

**რუსეთის ეს აღმაშფოთებელი სამხედრო აგრესია ნათლად ამჟღავნებს მის იმპერიალისტურ ზრახვებს. სუვერენულ საქართველოში რუსეთის სამხედრო ძალების ყოვლად უპასუხისმგებლო შემოჭრა უნდა აღვიქვათ, როგორც მოსკოვის საბჭოთა კავშირის პერიოდის ნოსტალგია და მშვიდობიან მეზობელ ქვეყნებში საკუთარი მმართველობის „აღდგენის“ სურვილი. საქართველოში შეჭრით რუსეთი მსოფლიოს თავისუფალ ქვეყნებს უგზავნის მესიჯს, რომ ის სასტიკად დასჯის მის ნებისმიერ მეზობელ ქვეყანას, რომელიც აშშ-ში და ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ დემოკრატიულ და ჰუმანისტურ ღირებულებს გაიზიარებს.**

**ახლა აშშ-სა და ევროკავშირის სახელმწიფოებისთვის გადამწყვეტი მომენტი დადგა. საქართველოს ინტერვენციის შესაჩერებლად ამერიკელი და ევროპელი მეგობრების დახმარება ესაჭიროება. ამ რეგიონში რუსეთის ღია აგრესიის მიმართ რეაგირების უგულებელყოფა რუსეთის გარეთ დემოკრატიის მომავალს ძირს გამოუთხრის. მეტიც, ამ რეგიონში აშშ-სა და ევროკავშირის სახელმწიფოების უმოქმედობა რუსეთს სამომავლო სამხედრო აგრესიის საწარმოებლად მწვანე შუქს მისცემს.**

**ჩვენ მოვუწოდებთ აშშ-ის პრეზიდენტს და ევროკავშირის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს დაეხმარონ საქართველოს სამხედრო შეტაკებების შეჩერებაში, საქართველოს სუვერენული ტერიტორიიდან მათი ჯარების გაყვანაში, რუსეთის მთავრობაზე უფრო აქტიურ ზემოქმედებაში.**

პოზიცია

# ნოდარ ნათაძე: უახლოეს დღეებში როგორ იმოქმედებს დასავლეთი, ჩვენ შევძლებთ მსჯელობას იმაზე, როგორია დასავლეთის მოქმედების მოტივები



***საქართველოში** უკანასკნელ დღეებში განვითარებულ პროცესებზე და იმაზე, თუ რა ნაბიჯებს გადადგამს დასავლეთი საქართველოს რუსეთის აგრესიისაგან დასაცავად, „ინტერპრესნიუსი“ ყოფილი „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარეს **ნოდარ ნათაძეს** ესაუბრა.*

**— ბატონო ნოდარ, როგორ შეაფასებდით საქართველოში 6 აგვისტოს შემდეგ განვითარებულ პროცესებს?**

— რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ დაუფარავ, თავხედურ და სისხლიან აგრესიას ახორციელებს. ამის უკან რა სტრატეგიული ჩანაფიქრი დგას, ახლა მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება.

რუსები ჩქარობენ შუა აზიიდან საქართველოზე გამავალი ეკონომიკური გზის აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებამდე გადაკეტვას. მათ იციან, რომ პრეზიდენტობის ბოლო თვეებში აშშ-ს პრეზიდენტი სერიოზულ გადაწყვეტილებებს ვერ იღებს.

რუსეთი რომ ამ ოპერაციის ჩატარებას აპირებდა, მაშინ იყო ცხადი, როცა რუსეთმა კავკასიის ჯარების როსტოვში განლაგებული შტაბი ვლადიკავკაზში გადმოიტანა. საერთოდ შტაბი საომარი მოქმედებების უკან განალაგა. რუსეთის ხელმძღვანელობამ საომარი მოქმედებების ზონად საქართველო განსაზღვრა. აქედან ჩანს, რომ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია რუსეთმა დიდი ხნის წინათ დაგეგმა. აქ არაფერ შუაში არ არიან არც ოსები და არც აფხაზები და ამ რეგიონებთან საქართველოს ურთიერთობა.

**— ამ ვითარებაში როგორ შეაფასებდით დასავლეთის მოქმედებას და რას შეიძლება ველოდოთ დასავლეთისაგან?**

— დასავლეთის მოქმედების ახსნაში არსებობს ორი ჰიპოთეზა, მათზე საუბარი შემდეგისთვის გადავდოთ. იმის მიხედვით, უახლოეს დღეებში როგორ იმოქმედებს დასავლეთი, ჩვენ შევძლებთ მსჯელობას იმაზე, ორი შესაძლებლობიდან რომელია რეალური, ანუ როგორია დასავლეთის მოქმედების მოტივები.

უნდა ველოდოთ იმას, რომ დასავლეთი აქტიური იქნება და რუსეთს აიძულებს დატოვოს საქართველოს ტერიტორია, შეიძლება ველოდოთ, რომ დასავლეთი დაკმაყოფილდეს იმით, რომ რუსეთი გაისვრება მსოფლიოს წინაშე. რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, რუსეთს აგრესიული საგარეო ომი არ უწარმოებია, ეს პირველია. საქართველოში განხორციელებული სამხედრო აქციით რუსეთი გამოჩნდა როგორც სისხლიანი იმპერია, ამით რუსეთმა ბევრი წააგო და მომავალში მეტს წააგებს. მაგრამ ამით დაკმაყოფილდება დასავლეთი თუ მოინდომებს საქართველოს გადარჩენას და ამისათვის აქტიურად იმუშავებს? აი ამის მიხედვით, შეგვეძლება ჩვენ დასავლეთის მოტივებზე, მისი დღევანდელი აქტიურობისა თუ პასიურობის მოტივებზე მსჯელობა.

ესაუბრა
**კობა ბენდელიანი**

განსჯა

# სხვაგანაც თუ ძვირდება, ჩვენთვის რა ნუგეშია?!

## სურსათზე ფასების ზრდა მსოფლიო პრობლემაა

**მსოფლიოში კვების პროდუქტებზე ფასების ზრდა, რომელიც ამ ათწლეულიდან დაიწყო და ბოლო ორ წელს დაჩქარდა, დღეს მსოფლიო მასშტაბის პრობლემად იქცა. როგორც გაეროს ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების ეკონომიკურმა კომისიამ განაცხადა, სურსათზე ფასების ზრდამ შეიძლება უკმაყოფილებისა და კონფლიქტების გზით მსოფლიო კრიზისის პროვოცირება მოახდინოს.**

სურსათზე ფასების გაძვირების მიზეზად თვლიან მსოფლიოში მარცვლეულის მარაგის შემცირებას და, იმავდროულად, მასზე მოთხოვნილების ზრდას ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი. ფასების ზრდის მიზეზად მიიჩნევენ აგრეთვე ბიოსათბობის **(ბიოეთანოლის)** დასამზადებლად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოყენებას, აშშ დოლარის კურსის დაცემას, არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს. მაგალითად, არახელსაყრელი ამინდის გამო მარცვლეულის ბაზარზე უარყოფითი გავლენა იქონია ევროკავშირში, ავსტრალიაში, კანადასა და აშშ-ში მარცვლეულის წარმოების მკვეთრმა შემცირებამ. ეს ქვეყნები, განსაკუთრებით ავსტრალია და აშშ, ხანგრძლივი გვალვების გამო სერიოზულად დაზარალდნენ. მცენარეული ზეთის ბაზარზე მკვეთრად შემცირდა მარაგი და ფასები გაიზარდა განსაკუთრებით სოიოს ზეთსა და მზესუმზირაზე.

ამავე დროს, ევროკავშირის ქვეყნებში აღინიშნა სამრეწველო მიზნით სოიოს ზეთის გამოყენება, რაც სავსებით სავარაუდოა, კვების პროდუქტებზე ფასების ზრდის ერთ-ერთი მიზეზი გამხდარიყო. ყველა ამ გარემოებამ კი შესაძლებელია მსოფლიოში სასურსათო კრიზისი გამოიწვიოს და ხელი შეუწყოს სოციალურ დაძაბულობასა და მღელვარებას, რომელიც აფრიკის რიგ ქვეყანაში უკვე აღინიშნა.

**ბოლო 30 წელიწადში უმეტეს სასურსათო საქონელზე რეალურმა მსოფლიო ფასებმა 2008 წლის I კვარტალის მანძილზე უმაღლეს დონეს მიაღწიეს. ამასთანავე, სურსათ-სანოვაგეზე ფასების საშუალო დონემ 2008 წლის პირველ სამ თვეში წინა წლის შესაბამისი პერიოდის დონეს 52 პროცენტით გადააჭარბა.**

მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების საკითხებზე ამას წინათ რომში ჩატარებულ კონფერენციაზე გაეროს წარმომადგენელმა სასურსათო კრიზისის შექმნაში ბიოსათბობის მწარმოებელი ქვეყნები დაადანაშაულა, რომლებმაც ამ მიზნით, თითქოს, 100 მილიონი ტონა მარცვლეული გამოიყენეს. ამ ქვეყნებს ყოველწლიურად ეძლევათ წელიწადში 12 მილიარდი დოლარის სუბსიდია და, იმავდროულად, მათ სასარგებლოდ პროტექციონული სატარიფო პოლიტიკა ტარდება. ამის გამო კი სურსათის საწარმოებლად ყოველ წელს დაახლოებით 100 მილიონი ტონა მარცვლეული პირდაპირი დანიშნულებით არ გამოიყენება. გათვლები ცხადყოფენ, რომ **ბიოსათბობის წარმოების მიზეზით სურსათის ფასები ყოველ წელს 15-30 პროცენტით იზრდება.**

სურსათის ბაზრებზე კრიზისთან დაკავშირებით გაერო განსხვავებულ მოსაზრებასაც გამოთქვამს. კერძოდ, მისი აზრით, სურსათზე ფასების კრიზისი საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის შეცდომების შედეგია, რომლის თავიდან აცილება შეიძლებოდა, გასული 20 წლის მანძილზე მათ საქმიანობაში დაშვებული შეცდომები რომ გათვალისწინებული ყოფილიყო. ასეთი მკაცრი და კრიტიკული შეფასება მისცა ამ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობას სურსათის საკითხებში გაეროს მთავარმა ექსპერტმა, ფრანგმა პროფესორმა ოლივიე დე შუტერმა გაზეთ „ლე-მონდისათვის“ მიცემულ ინტერვიუში. „ჩვენ პასუხს ვაგებთ გასული 29 წლის მანძილზე დაშვებული შეცდომებისთვის“, — თქვა მან. სავარაუდოა, რომ ფრანგ პროფესორს მხედველობაში ჰქონდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ განვითარებადი ქვეყნების მიმართ განხორციელებული საინვესტიციო პოლიტიკა, რომლის შედეგად ამ ქვეყნების ეკონომიკები ფეხზე წამოდგომის ნაცვლად უფრო იავარქმნილ იქნა, ადგილობრივი წარმოება განადგურდა და ქვეყანა იმპორტს ჩამოეკიდა.

**ვერაფერს იტყვი: საქართველოშიც ხომ სწორედ ასე მოხდა. 1992 წლიდან დაწყებული, მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის (და არა მხოლოდ მათი) მილიარდობით ინვესტიციების (იაფფასიანი კრედიტების) უდიდესი ნაწილი ხომ უშუალოდ არა ქვეყნის ეკონომიკას, არამედ ნაირ-ნაირი მეთოდებითა და საშუალებებით ყოფილი პრეზიდენტის გარშემომყოფთა გამდიდრებას მოხმარდა. გადასახადად კი ეს თანხები დღესაც სახელმწიფო ბიუჯეტში გვაქვს აღრიცხული. იმედად ისღა გვრჩება, რომ, როგორც ჩანს, ჩვენ გამონაკლისები არ ვიყავით, ბევრგან მოხდა ასე!**

გასათვალისწინებელია, რომ როგორც გაეროსთან არსებული სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს მიაჩნია, დღეს კვების პროდუქტების ფასების მკვეთრი გაძვირების პროცესის შეჩერება-დამუხრუჭება თითქმის შეუძლებელია, რადგან ამ სფეროში მთელ დედამიწაზე სტრუქტურული ძვრები მიმდინარეობს და მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების მთავრობებიც კი უძლური არიან, რაიმე შეცვალონ.

უფრო მეტიც. თუ დავუშვებთ იმის შესაძლებლობას, რომ **დედამიწაზე სურსათის ყველა მწარმოებელი ერთბაშად გაიფიცოს და საკვები პროდუქტის გამოშვება შეწყვიტოს, დაგროვილი საკვების მარაგი კაცობრიობას თურმე მხოლოდ 53 დღე ეყოფა!** ასეთია გაეროს საერთაშორისო სასურსათო პროგრამის ოფიციალური და იმავდროულად შემაშფოთებელი პროგნოზი.

**რუსეთში 2008 წლის პირველ ნახევარში სასურსათო საქონლის ფასების ზრდამ, სტატისტიკის ფედერალური სამსახურისა და „ევროსტატის“ ცნობით, ევროპაში ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია.** მის ცალკეულ რეგიონებში კვების ზოგიერთ პროდუქტზე ხელისუფლებამ ფასების „გაყინვაც“ კი დაიწყო, მაგრამ ამ **სოციალისტურმა** ბერკეტმა საქმეს ვერ უშველა: პროდუქტი დახლიდან გაქრა, ფასმა კი მაინც მოიმატა, რადგან დღევანდელ პირობებში კერძო მესაკუთრისთვის ფასების „გაყინვით“ მიყენებული ზარალი სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა ზღოს, რაც არ მომხდარა.

ის, რომ დღეისთვის რუსეთის ეკონომიკაში ფაქტობრივად სახელმწიფო მონოპოლია ბატონობს, ასეთი კურიოზული ფაქტითაც დასტურდება.

რუსეთში არსებული მონოპოლისტური (მაღალიძ ფასების შესახებ ამ ერთი თვის წინათ ბერლინის ერთ-ერთმა სოლიდურმა გაზეთმა ინფორმაცია გამოაქვეყნა და მიუთითა, რომ რუსეთში მწვავედ იგრძნობა ღია ბაზრის, როგორც მომწესრიგებელი მექანიზმის უქონლობა და ამ ენერგეტიკული სუპერსახელმწიფოს დედაქალაქში — მოსკოვში საავიაციო ნავთი 20 პროცენტით უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ლონდონსა და დიუსელდორფში.

ამის შემდეგ, 5 აგვისტოს რუსულ საიტზე სათაურით: **„2% — პუტინისაგან“** ასეთი ინფორმაცია განთავსდა: **მოსკოვის ავიაკვანძში, რომლის წილად ქვეყნის ავიამგზავრნაკადების 70 პროცენტი მოდის, პირველად გასული წლის აგვისტოდან, ავიანავთზე ფასი 1,75 %-ით შემცირდა** (რეგიონებში ასეთი რამ არ მომხდარაძ. ამის მიზეზი კი, როგორც ადგილობრივ ექსპერტებს მიაჩნიათ, გახდა რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ვ. პუტინის კრიტიკა, რომელიც მოსკოვში საავიაციო ნავთის უპრეცედენტოდ მაღალ ფასს შეეხო და ამაში „გარკვევა“ ფედერალურ ანტიმონოპოლურ სამსახურს დაავალა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ სამსახურის ხელმძღვანელს მთავრობის მეთაური საკადრო ცვლილებით (სამსახურიდან მოხსნითძ დაემუქრა. **დავალება შესრულდა, ავიასაწვავზე ფასი შემცირდა!** თუმცა ავიაკომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს დროებითი აქციაა და როგორც კი ჩინოვნიკები ყურადღებას მოადუნებენ, მოსკოვში საავიაციო ნავთის ფასი კვლავ გაიზრდებაო.



იხ. 9 გვ.

თვალსაზრისი

# არჩილ გეგეშიძე: აშშ საქართველოს დასაცავად განცხადებებიდან საქმეზე გადავიდა



**— ბატონო არჩილ, რა პერსპექტივა იკვეთება აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის განცხადების შემდეგ, რომელმაც პრაქტიკულად გამოაცხადა საქართველოსათვის სამხედრო-ჰუმანიტარული დახმარების შესახებ?**

— პრეზიდენტ ბუშის ეს განცხადება აშშ-ის მხრიდან საქართველოში არსებული ვითარების პროცესში ჩართულობის ხარისხის გაზრდას ნიშნავს. ეს განცხადება თვისობრივად განსხვავდება ყველა სხვა განცხადებებისაგან. წინა განცხადებებში გამოითქმოდა შეშფოთება შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. ამ განცხადებებში გამოითქმებოდა წუხილი, იმედი. ამ შემთხვევაში აშშ-მა მიიღო გადაწყვეტილება, რა უნდა გააკეთოს და პრაქტიკულად ამას რუსეთს არც ეკითხება.

პრეზიდენტმა ბუშმა განცხადება სახელმწიფო მდივნისა და თავდაცვის მინისტრის თანხლებით გააკეთა. განცხადებამდე საქართველოს საკითხი აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭომ განიხილა, რაც იმას ნიშნავს, რომ აშშ საქართველოში არსებულ ვითარებას საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების რანგში განიხილავს. მას კარგად ესმის, რომ თუ რუსეთი ახლა არ შეჩერდება, შემდეგ მოსკოვი მსოფლიოს დიდ პრობლემებს შეუქმნის.

ეს ხდება იმ ფონზე, როცა რუსეთმა აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით მოკლა გერმანიის ინიციატივა, შტაინმაიერის გეგმა, პრაქტიკულად ყველანაირად დაამცირა გერმანია როგორც ქვეყანა და დასავლეთის მცდელობა.

დღეს ჩვენ ვხედავთ იმას, რომ საფრანგეთის პრეზიდენტ სარკოზისთან კომპეზურად შეთანხმების გამოცხადების შემდეგ რუსეთმა პირობა დაარღვია და იგნორირება გაუკეთა არა მარტო საფრანგეთს, არამედ ევროკავშირს, რომლის პრეზიდენტის მოვალეობას დღეს საფრანგეთის პრეზიდენტი სარკოზი ასრულებს.

თავისი მოქმედებით რუსეთმა დასავლეთს დაანახა, რომ იგი დასავლეთს ანგარიშს არ უწევს და გორში შეუშვა მაროდიორები და მათ ქართული სოფლების დაწვისა და ძარცვის საშუალება მისცა, თავად კი ქვეყნის ინფრასტრუქტურას თანამიმდევრულად ანადგურებს, მიუხედავად იმისა, რომ ვითარების შესაცვლელად მთელი თავისი ავტორიტეტის ინვესტიცია მოახდინა საფრანგეთმა და ევროკავშირმა.

ასეთ ფონზე მიიღო ბუშმა გადაწყვეტილება საქართველოში მოავლინოს სახელმწიფო მინისტრი კონდოლიზა რაისი. რაისი პარიზში სარკოზის შეხვდება. ამით დასავლეთი მოსკოვს ატყობინებს იმის შესახებ, რომ საქართველოს საკითხში ევროატლანტიკურ ქვეყნებში სრული თანხმობაა, ამერიკა და ევროპა ერთ პოზიციაზე დგანან და კოორდინაციის მაღალი ხარისხით მზად არიან ჩაერთონ ამ პროცესში თავისი სამხედრო ინფრასტრუქტურით.

აშშ მზადაა ჩაერთოს საქართველოში შექმნილ ვითარებაში და სამხედრო-ჰუმანიტარული დახმარება განახორციელოს არა მარტო საჰაერო, არამედ საზღვაო ძალებით. რუსებისთვის ეს არ არის რაღაც ეპიზოდი, ეს არის კარგად გათვლილი გეგმის ნაწილი, მაშინ ამას უნდა მოჰყვეს სხვა ქმედითი ღონისძიებები, რომელიც რუსებისთვის გასაგებ ენაზე განხორციელებული მხარდაჭერა იქნება.

რუსებისთვის გასაგები ენა, როგორც ჩანს მხოლოდ ძალის ენაა. აშშ დარწმუნდა, რომ რუსებს დიპლომატიური ენა არ ესმის და ეს ის ენაა, რომლითაც რუსებს უნდა ესაუბრო. თუმცა ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ და არ ვიფიქროთ, რომ ბუშის ამ ერთი განცხადებით ყველაფერი დამთავრდა. იმედი უნდა გამოვთქვათ, რომ ამას მოჰყვება ამ ენაზევე მზარდი ქმედებები, რაც საბოლოო ჯამში პოზიტიურად იმოქმედებს ვითარების კალაპოტში ჩასაყენებლად.

ესაუბრა
**კობა ბენდელიანი.**
„ინტერპრესნიუსი"

თემის გაგრძელება

# ენციკლოპედია „ქართული ენა" მტერ-მოყვრის თვალით

***ქართული ენა ბოლო წლებში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" ამას წინათ წერილიც გამოვაქვეყნეთ „ფართომასშტაბიანი ომი ქართული ენის წინააღმდეგ" (18 მარტი, 2008 წ.). თუ მთლიანობაში გავიაზრებთ, რა ხდება ჩვენი დედაენის თავს, მშვიდად ვერ უნდა იყოს ქართველი კაცი... ასეთ გარემოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ ფაქტს, რომ გამოდის სოლიდური წიგნი — ენციკლოპედია „ქართული ენა". ეს არის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქციის ერთობლივი გამოცემა; მრავალწლიანი თავდადებული შრომის შედეგი; დადასტურება იმისა, რომ ქართული ენა კვლავაც არის სერიოზული ფიქრისა და ზრუნვის საგანი სამეცნიერო საზოგადოებისათვის. „იგი პირველი ქართული სამეცნიერო-დარგობრივი ენციკლოპედიაა, რომლის შექმნის აუცილებლობა დრომ განაპირობა... ამ უნიკალური გამოცემის მომზადებაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა ჰუმანიტარულმა დაწესებულებამ," — ვკითხულობთ სარედაქციო წინასიტყვაში. შემოქმედებითი ჯგუფისა და გამომცემლებისათვის ისიც ნათელია, რომ „ქართული ენა" ამ ტიპის პირველი გამოცემაა და, ბუნებრივია, დაზღვეული არ არის ხარვეზებისაგან"; და ამიტომაც ითხოვს რედკოლეგია —„დიდი მადლიერებით მივიღებთ მკითხველთა ყველა შენიშვნასო". ცხადია, შენიშვნებსაც ველოდით და, რა თქმა უნდა, დადებით შეფასებასაც. თუმცა, როგორც ჩანს, მოყვარემ ვერ მოიცალა...***



გამოქვეყნდა **ა. ფოცხიშვილის** ვრცელი წერილი „ქართული ენა" ენციკლოპედიის შუქ-ჩრდილები" („საქართველოს რესპუბლიკა", 26 ივლისი, 2008ძ (სათაური რომ ცუდი ქართულია, ამჯერად ეს მეორეხარისხოვანია...ძ. კი გვპირდება ავტორი, შუქ-ჩრდილებზე ვისაუბრებო, მაგრამ, სამწუხაროდ, შუქს ვერ ხედავს, „ჩრდილებში დააბიჯებს"... ერთადერთი, რაც მას ამ სქელტანიან გამოცემაში მოსწონებია, ვ. სილოგავას სტატიებია... ა. ფოცხიშვილს აქვს უფლება, მოსწონდეს ან არ მოსწონდეს რაიმე, მაგრამ თეთრის შავად წარმოჩენის უფლება მისთვის არავის მიუცია... მისი პრინციპი ასეთია: კარგია, თუ მე მაქებენ; ცუდია, მე თუ არ მაქებენ. საკუთარ თავს თავად აძლევს მაღალ შეფასებას და სხვისგანაც მოითხოვს, გაიზიაროს ეს აზრი!.. თუ არ გაიზიარე, მტერი ხარ მეცნიერებისა... არ ვამუქებ, ძვირფასო მკითხველო; მოთმინება იქონიე, ამ თემაზე ვრცლად მოგიწევს მსჯელობა.

* * *

მთავარი ბრალდება, რასაც ა. ფოცხიშვილი ენციკლოპედიას უყენებს, ისაა, რომ, მისი აზრით, უგულებელყოფილია ა. ფოცხიშვილის დამსახურება ენათმეცნიერებაში; არაა სათანადოდ შეფასებული მისი „ფუნდამენტური გამოკვლევა" (მისივე სიტყვებია; იგულისხმება წიგნი „ქართული ენათმეცნიერების ისტორია", 1995ძ, არაა აღიარებული მისი აღმოჩენები... ცხადია, საგაზეთო წერილში მის ყველა პრეტენზიასა და „ბრალდებას" ვერ განვიხილავ. მე აქ მხოლოდ ერთ არსებით საკითხს შევეხები, რის გამოც ჩვენთვის სანდოობას კარგავს მისი „ფუნდამენტური გამოკვლევა". სხვა თემებზე, თუ გახდება საჭირო, სხვა დროს ვისაუბრებ (ასეთი თემები მრავლადაა „ფუნდამენტურ გამოკვლევაში"ძ...

ა. ფოცხიშვილის აზრით (ეს აზრი აქვს მას გატარებული „ფუნდამენტურ გამოკვლევაშიც" და საგაზეთო წერილშიცძ, „მთავარი მტერი" ანტონ კათალიკოსისა არის არნოლდ ჩიქობავა და მისი (ა. ფოცხიშვილისძ დამსახურებაა, რომ არნ. ჩიქობავას კლანჭებიდან იქნა გამოხსნილი ანტონი! (აი, ეს „დამსახურებააო" იგნორირებული!ძ. ა. ფოცხიშვილის აზრით, არნ. ჩიქობავამ არასწორად, ტენდენციურად, არაობიექტურად შეაფასა ანტონის როლი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში; ათეული წლების განმავლობაში სხვადასხვა გამოცემაში, სასკოლო სახელმძღვანელოებში ცდილობდა ამ აზრის დამკვიდრებასო. ა. ფოცხიშვილი არ ამბობს იმას, თუ როგორ მაღალ შეფასებას აძლევს არნ. ჩიქობავა ანტონს, როგორც ენათმეცნიერს, როგორც პიროვნებას. თურმე ნუ იტყვით და, 1970 წლამდე, ვიდრე „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდებოდა ა. ფოცხიშვილის წერილი, „ანტონ I წარმოდგენილი იყო, როგორც ურეაქციონერესი მოღვაწე" და ამაში მთავარი დამნაშავე, მისი აზრით, არნ. ჩიქობავა იყო! მკითხველს შეუძლია გაეცნოს 1965 წელს გამოცემულ არნ. ჩიქობავას წიგნს „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია" (გვ. 88 — 100ძ და თავად დარწმუნდება „ისტორიკოსის" სიცრუეში. ა. ფოცხიშვილი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს არნ. ჩიქობავა და მისი მიმდევრები უსამართლოდ ებრძვიან ანტონს... „ისტორიკოსი" წარმოუდგენელი მოურიდებლობით უვლის გვერდს აკაკი შანიძეს და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ანტონის როლს სალიტერატურო ენის განვითარებაში ა. შანიძე და არნ. ჩიქობავა სხვადასხვაგვარად აფასებდნენ. ეს კი იმისთვის სჭირდება ა. ფოცხიშვილს, თქვას, რომ არნ. ჩიქობავა უარყოფითი პიროვნება იყო, ა. შანიძე — დადებითი, მე ა. შანიძის გვერდით ვდგავარო... ამის თქმას „ისტორიკოსი" საგაზეთო წერილშიც ცდილობს, ენათმეცნიერების ინსტიტუტისგან „უსამართლოდ დაჩაგრულ" ა. შანიძეს „ექომაგება"... ა. ფოცხიშვილი არსად არ მიუთითებს თავის „ფუნდამენტურ გამოკვლევაში", რომ ანტონის როლზე ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ა. შანიძის აზრი ზუსტად ისეთივეა, როგორიც არნ. ჩიქობავასი! მეტიც: ა. შანიძე უფრო მკვეთრად გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას. ა. შანიძეს მონოგრაფიული გამოკვლევა აქვს ანტონის როლზე ქართულ სალიტერატურო ენის განვითარებაში: „ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში" (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, 1964, გვ 1 — 94ძ. ამ წიგნს, რა თქმა უნდა, იცნობს „ისტორიკოსი " და იმოწმებს კიდეც სხვა თემასთან დაკავშირებით, მაგრამ ჩქმალავს მთავარს...

**ეს არ არის უბრალო რამ, ეს პრინციპული ხასიათის სიყალბეა!..** როგორც აღვნიშნეთ, ამ ნაშრომს იცნობს ა. ფოცხიშვილი, მაგრამ სჭირდება და ისე წარმოაჩენს, თითქოს ა. შანიძის ეს ვრცელი გამოკვლევა არც არსებობდეს. ეს შეურაცხყოფაა კლასიკოსი მეცნიერისა! უგულებელყოფა მისი აზრისა! ამას აკეთებს კაცი, ვინც სხვისგან მოითხოვს **„მიუდგომლობას, ობიექტურობას და ჭეშმარიტების სამსახურს"**! ვინც თავის „ფუნდამენტურ გამოკვლევაში" წერს: **„დროა, ისტორია წავიკითხოთ ისე, როგორც სინამდვილეში იყო და არა ისე, როგორც გვინდა."** ანდა: **„ენათმეცნიერების ისტორიკოსი და, საერთოდ ყოველი მეცნიერების ისტორიკოსი (...) ვალდებულია, მკითხველამდე მიიტანოს ყველა ფაქტი და მოვლენა, მიუხედავად იმისა, რა დამოკიდებულება აქვს მას ამ ფაქტებთან და მოვლენებთან, რა ურთიერთობაშია მათ ავტორთან".** როგორც ვხედავთ, ა. ფოცხიშვილი ამბობს ერთს, აკეთებს სხვას; ანუ ისტორიას კითხულობს ისე, როგორც უნდა... და რაც მთავარია, ამგვარ ქმედებას, თუ მას სხვა ჩაიდენს, ა. ფოცხიშვილი დანაშაულად მიიჩნევს: **„ფაქტების მიჩქმალვა და დამახინჯებული სახით წარმოდგენა თუ შემთხვევით, უნებლიეთ მოხდა, შეცდომაა, თუ წინასწარ განზრახვითა და, ამდენად, ანგარებით, დანაშაული"** (ციტატა „ფუნდამენტური გამოკვლევიდანაა"ძ. მისივე განაჩენის მიხედვით, დამნაშავეა ა. ფოცხიშვილი!

* * *

ა. ფოცხიშვილის აზრით, ენციკლოპედიის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ის არის, რომ „ობიექტურად და მიუდგომლად არ გადმოგვცემს ქართული ენათმეცნიერების მიღწევებს და ამ მიღწევებში მონაწილე მეცნიერთა დამსახურებას". ნუ გაიკვირვებ, მკითხველო, „ენათმეცნიერების მიღწევებში" გულისხმობს ა. ფოცხიშვილის მიღწევებს, „ამ მიღწევებში მონაწილე მეცნიერიც" ა. ფოცხიშვილია... არაობიქტურობისა და მიკერძოების მიზეზსაც ასახელებს: **„ეს კი გამოწვეულია იმით, რომ წიგნის შედგენას ენთმეცნიერების ინსტიტუტი ხელმძღვანელობდაო"**... რას ერჩით, აქვს კაცს „მეცნიერული" ანალიზისა და „დამაჯერებელი" დასკვნის გაკეთების უნარი!..

იხ. 9 გვ.

რას წერენ ჩვენზე

# კონდოლიზა რაისი: რუსეთს შეიძლება საერთაშორისო იზოლაცია დაემუქროს




**აშშ სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ საქართველოში საბრძოლო ოპერაციების გაგრძელების შემთხვევაში რუსეთს ემუქრება იზოლაცია საერთაშორისო არენაზე. რაისის სიტყვებით, ცნობები კონფლიქტის ზონაში შეუწყვეტელი ცეცხლის შესახებ შეიძლება გახდეს იმის მიზეზი, რომ „მხოლოდ გაძლიერდეს იზოლაცია, რომელიც ისედაც ემუქრება რუსეთს", და მეტად განამტკიცებს „იმის შეგრძნებას, რომ რუსეთი არ იქცევა ისე, როგორც საერთაშორისო პარტნიორი, როგორიც, რუსეთის სიტყვებით, მას სურს რომ იყოს".**

სახელმწიფო მდივანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „მხარს უჭერს საქართველოს დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას".

ეს განცხადება რაისმა გააკეთა თბილისში გაფრენის წინ, სადაც იგი ხუთშაბათს უნდა ჩავიდეს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის სიტყვებით, რაისის ვიზიტი თბილისში არის „საქართველოს მხარდაჭერის გამოხატულება".

აქ უფრო ადრე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სი-ენ-ისათვის მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ სთხოვა ამერიკის მხარეს ასეთი ვიზიტის შესახებ.

თბილისში ჩამოფრენამდე რაისს განზრახული აქვს პარიზში აწარმოოს მოლაპარაკება საფრანგეთის პრეზიდენტთან ნიკოლა სარკოზისთან. სახელმწიფო მდივნისა და სარკოზის განხილვის მთავარი საგანი გახდება საფრანგეთის პრეზიდენტის პირადი მონაწილეობით მიღებული სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გეგმა.

**ადრე ბუშმა განაცხადა, რომ მისი პირადი დავალებით ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი უხელმძღვანელებს საქართველოში ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების კამპანიის „ენერგიულობასა და შეუფერხებლობას"**

BBC

ჰუმანიტარული დახმარების პირველი პარტია თბილისში ჩამოვიდა ხუთშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების ორი სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავის ბორტზე.

ადრე ბუშმა განაცხადა, რომ მისი პირადი დავალებით ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი უხელმძღვანელებს საქართველოში ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების კამპანიის „ენერგიულობასა და შეუფერხებლობას".

„ჩვენ ველოდებით, რომ რუსეთი დაიცავს თავის ვალდებულებებს და დაუბრკოლებლივ გაატარებს საქართველოში ჰუმანიტარული დახმარების ყველა სახეობას", — განაცხადა ბუშმა, მან მოითხოვა, რომ ღია იყოს „ყველა სატრანსპორტო კომუნიკაცია, მათ შორის საზღვაო ნავსადგურები, გზები და აეროპორტები".

მალე ჯორჯ ბუშის გამოსვლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ თეთრი სახლის ეს გადაწყვეტილება „ნიშნავს, რომ ამ ჰუმანიტარული ოპერაციის დროს ყველა ნავსადგური და აეროპორტი აყვანილი იქნება კონტროლზე ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს მიერ".

„ამერიკის შეერთებული შტატების ეს გადაწყვეტილება მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის და იმისათვის, რომ სიტუაცია ქვეყანაში მოწესრიგდეს", — განაცხადა მან. ამავე დროს, პრაქტიკულად მაშინვე, პენტაგონმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ აქვს განზრახული კონტროლი გაუწიოს საქართველოს რომელიმე ობიექტს ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდების პერიოდში.

„ამ მისიის შესასრულებლად ჩვენ არა გვაქვს განზრახული ავიყვანოთ კონტროლზე რომელიმე საზღვაო ან საჰაერო პორტი, ამის საჭიროებაც არ არსებობს", — იტყობინება რეიტერის სააგენტო.

„ჰუმანიტარული მისია ადეკვატურად იქნება დაკომპლექტებული ისე, როგორც საჭიროა, დღევანდელი რეალური სიტუაციის გათვალისწინებით, როგორც სიტუაციის სტაბილიზაციისათვის, ისევე იმ პრობლემების ნეიტრალიზაციისათვის, რომლებიც წამოიჭრა უკანასკნელ ხანებში", — განაცხადა ოთხშაბათს საქართველოს ტელევიზიის ეთერში ქვეყნის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბათუ ქუთელიამ.

„ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორია, მათ შორის უშიშროების საკითხებშიც. ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილებას, გაუწიონს ჰუმანიტარული დახმარება საქართველოს, პირდაპირი პრაგმატული მნიშვნელობის გარეშე აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც", — აღნიშნა ქუთელიამ.

# ვაშინგტონი კრიზისს საქართველოში ანალიზს უკეთებს

**იმ დროს, როდესაც რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ერთმანეთს უცვლიან მკვეთრ განცხადებებს საქართველოს მოვლენებთან დაკავშირებით, ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცდილობენ გამოარკვიონ კონფლიქტის ესკალაციის მიზეზები და განმარტონ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოქმედებანი.**

რუსეთი არაერთგზის სდებდა ბრალს ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადებაში, აგრეთვე იმაში, რომ საქართველოს ჯარისკაცები გადაიყვანეს ერაყიდან საქართველოში, როდესაც დაიწყო საბრძოლო მოქმედებანი რუსეთისა და საქართველოს ჯარებს შორის.

მაგრამ, როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" სტატიიდან ჩანს, სააკაშვილის მოქმედებანი სამხრეთ ოსეთში ვაშინგტონისათვის გახდა სრული მოულოდნელობა.

გაზეთის ცნობით, ჟურნალისტებთან საუბარში ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ჩინოვნიკები აღნიშნავდნენ, რომ თეთრი სახლი მრავალგზის აფრთხილებდა მიხეილ სააკაშვილს, არ მოეხდინა რუსეთის პროვოცირება, მაგრამ ქართველმა ლიდერმა ყური არ უგდო ამ რჩევებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დენიელ ფრიდი, რომელიც პასუხს აგებს ამერიკის პოლიტიკის განხორციელებაზე კავკასიის რეგიონში, აგრეთვე ვაშინგტონის სხვა ოფიციალური წარმომადგენლები თავიანთ პოზიციას აცნობდნენ საქართველოს ხელმძღვანელობას უკანასკნელ მომენტამდე, როდესაც საქართველოს ჯარებმა დაიწყეს სროლები ცხინვალის მიმართულებით.

**ჟურნალისტებთან საუბარში ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ჩინოვნიკები აღნიშნავდნენ, რომ თეთრი სახლი მრავალგზის აფრთხილებდა მიხეილ სააკაშვილს, არ მოეხდინა რუსეთის პროვოცირება, მაგრამ ქართველმა ლიდერმა ყური არ უგდო ამ რჩევებს**

BBC

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის თანაშემწეები აღნიშნავენ, რომ კერძო ვახშმის დროს თბილისში 9 ივლისს მან გააფრთხილა სააკაშვილი, რომ იგი არ ჩაბმულიყო სამხედრო კონფლიქტში რუსეთთან, ვისთანაც საქართველო ვერ გაიმარჯვებს.

„მან გარკვევით უთხრა სააკაშვილს, რომ უნდა მოგვცეს პირობა, არ გამოიყენოს ძალა", — აღნიშნავს ამერიკელი დიპლომატი, რომელიც თან ახლდა კონდოლიზა რაისს თბილისში.

მაგრამ თავის საჯარო გამოსვლებში, აღნიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსი", რაისმა სხვა ნოტა აიღო, რითაც აცნობიერებს, რომ საქართველოს შეუძლია იქონიოს ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა იმ პირობებში, როდესაც რუსეთი თბილისზე ახდენს ზემოქმედებას.

გაზეთი ჩამოთვლის ამერიკის ადმინისტრაციის ნაბიჯებს, რომლებმაც თბილისში შექმნეს არასწორი წარმოდგენა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის შესახებ: საქართველოში სამხედრო მრჩევლების გაგზავნა; ივლისში სამხედრო წვრთნების ჩატარება ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობით, რომელთა რაოდენობა ათასზე მეტი იყო; ნატოს სხვა წევრებზე ზემოქმედების მოხდენა, რათა საქართველო მიღებული ყოფილიყო ამ ორგანიზაციაში; ხმამაღალი განცხადებანი იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

„მაგრამ ინტერვიუები სახელმწიფო დეპარტამენტის, პენტაგონისა და თეთრი სახლის ჩინოვნიკებთან მოწმობენ იმის შესახებ, რომ ბუშის ადმინისტრაცია არ აპირებდა საქართველოსთვის სამხედრო მხარდაჭერის გაწევას რუსეთთან ბრძოლაში", — წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი".

„ქართველებმა გადაწყვიტეს, რომ აჯობებდა მიეღოთ პატიება მოგვიანებით, მაგრამ არ ეთხოვათ ნებართვა დასაწყისში, — განუცხადა გაზეთის კორესპონდენტს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ჩინოვნიკმა, რომელმაც არ ისურვა ვინაობის დასახელება. — ეს მათ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება. მათ იცოდნენ, რომ ჩვენ ვეტყოდით „არას". ვაშინგტონში ყველა თანახმაა, რომ 7 აგვისტოს საღამოს მოვლენები სამხრეთ ოსეთში გამოვიდა კონტროლის ქვეშიდან.



# ცნობები ძარცვის შესახებ გორსა და სამხრეთ ოსეთში

**მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ქალაქი გორი, აგრეთვე ქართული სოფლები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იძარცვება მასობრივად.**

სამართალდამცავი ორგანიზაციის ჰუმან რაიტს ვოტჩის მეთვალყურენი სამხრეთ ოსეთში გახდნენ იმის მოწმე, თუ ოსი მეამბოხეები როგორ ეწევიან მაროდიორობას, წვავენ სოფლებს ქართული მოსახლეობით.

ორგანიზაციის წარმომადგენლები იტყობინებიან, რომ ეს დასახლებული პუნქტები დატოვა პრაქტიკულად ყველა მცხოვრებმა. დარჩნენ მხოლოდ რამდენიმე მოხუცი და ინვალიდი.

„დანგრეულ ქართულ სოფლებში დარჩენილი მცხოვრებლები სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იმყოფებიან", — ამბობს ტატიანა ლოშკინა ამ ორგანიზაციიდან.

ორგანიზაციის მეთვალყურეები იტყობინებიან, რომ ნახეს, თუ შეიარაღებულ ადამიანებს როგორ გამოჰქონდათ სახლებიდან ფასეულობანი სოფელ ქვემო აჩაბეთში.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა დაადასტურა, რომ ქართულ ქალაქებში გორსა და სენაკში იმყოფებიან რუსი ჯარები. მან განაცხადა, რომ მათი ამოცანაა — დაიცვან მშვიდობიანი მოსახლეობა მაროდიორობისაგან და უზრუნველყონ ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება.

ლავროვმა აგრეთვე აღნიშნა, რომ საქართველოს ქალაქ ფოთის ნავსადგურში არ იმყოფება რუსეთის შეიარაღებული ძალები.

მან დაუმატა, რომ რუს ჯარებს, რომლებიც მოქმედებენ კონფლიქტის რაიონში, მიეცათ მითითება, „მაროდიორებს მოექცნენ საომარი დროის კანონების შესაბამისად".

ბი-ბი-სის კორესპონდენტი ჰევინ ჰიუიტი, რომელიც იმყოფება გორის მიდამოებში, იტყობინება, რომ ამ ქალაქიდან ლტოლვილი ეუბნებოდა მას: რუსეთის ჯავშანტექნიკა ძველებურად იმყოფება ქალაქის მიდამოებში და, ალბათ, ანადგურებენ საქართველოს სამხედრო ტექნიკასა და ბაზებს.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, რომ რუსეთის ჯარები და მძიმე ტექნიკა დაიძრა თბილისის მიმართულებით**

BBC

ერთ-ერთმა მეამბოხემ თავისი მოქმედება ასე აუხსნა სამართალდამცავებს: ეს იგივეა, რასაც ისინი ჩვენ გვიკეთებდნენ. ამ სოფლის არც ერთი მცხოვრები არ უნდა ჩიოდეს. მადლობა გვითხრან, რომ ისინი არ დავხოცეთ.

ქართული სოფლების ძარცვასა და გადაწვაზე მონაცემებს ადასტურებენ ლტოლვილებიც, რომლებმაც ინტერვიუ მისცეს ბი-ბი-სის კორესპონდენტებს, გორის მახლობლად რომ იმყოფებოდნენ.

ბი-ბი-სის არ გააჩნია შესაძლებლობა, დაადასტუროს ეს ინფორმაცია დამოუკიდებელი წყაროებიდან. მიუხედავად ამისა ბი-ბი-სის კორესპონდენტებმა დაინახეს რუსეთის სამხედრო კოლონები გორის მახლობლად. კითხვაზე იმის შესახებ, თუ საით მიემართებიან ეს ჯარები, ერთ-ერთმა რუსმა ჯარისკაცმა უპასუხა, რომ ისინი „მიდიან". მეტი არაფერი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, რომ რუსეთის ჯარები და მძიმე ტექნიკა დაიძრა თბილისის მიმართულებით.

რუსეთის მშვიდობისმყოფელებმა რია-ნოვოსტის აცნობეს, რომ გორის მიდამოებში აღმოჩენილია საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ მიტოვებული სარდაფი დიდი რაოდენობის საბრძოლო ტექნიკითა და აღჭურვილობით.

„სარდაფს არავინ იცავს. სამხედრო ტექნიკა იმყოფება სრულ სამხედრო მზადყოფნაში", — განაცხადა მშვიდობისმყოფელთა წარმომადგენელმა.

როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტი რიჩარდ გალპინი იტყობინება, ამჟამად გზა თბილისიდან გორისკენ გადაკეტილია და ქალაქის მიმართულებით გაემგზავრა რამდენიმე სატვირთო მანქანა ქართველი სამხედრო მოსამსახურეებით.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ რუს ჯარებთან ბრძოლების შემდეგ ქართულმა ძალებმა დატოვეს გორი.

უღიარებელი რესპუბლიკის დედაქალაქი ცხინვალი იმყოფება რუსეთის ძალების კონტროლის ქვეშ და ჯერჯერობით არ არსებობს ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, თუ როდის მოხდება იქიდან რუსეთის ჯარების გამოყვანა.

ოფიციალური ბრძანება ამის შესახებ ჯერჯერობით არ ყოფილა, განაცხადა რუსეთის სარდლობის წარმომადგენელმა. კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპის შესაბამისად, რუსეთისა და საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ პოზიციებზე, რომლებიც წინ უსწრებდა საბრძოლო მოქმედებათა დაწყებას.

გაეროს ლტოლვილთა საქმეების სააგენტოს წინასწარი მონაცემებით, ომის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე თავიანთი სახლები დატოვა დაახლოებით 100 ათასმა კაცმა.

თემის გაგრძელება

# ენციკლოპედია „ქართული ენა“ მტერ-მოყვრის თვალით

(მეშვიდე გვერდიდან)

ენათმეცნიერების ინსტიტუტის საქმიანობას იცნობს ქართული საზოგადოება; მარტო მისი ლექსიკოლოგიური გამოცემების გახსენებაც იკმარებდა (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ორთოგრაფიული ლექსიკონი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ათეულობით ტერმინოლოგიური ლექსიკონი, დიალექტური ლექსიკონები...), რომ აღარა ვთქვათ სამეცნიერო კრებულებსა თუ მონოგრაფიებზე... რით ვერ აკმაყოფილებს ინსტიტუტი ა. ფოცხიშვილის მოთხოვნებს?

„ჩემი გალიზიანება პირადული ახირება არააო“, უნდა დაგვარწმუნოს ა. ფოცხიშვილმა, მაგრამ თუმცა ამ თემაზე საუბრის გაგრძელება არ ღირს

* * *

ენათმეცნიერების ინსტიტუტის სახელის გასატეხად (შესაბამისად, ენციკლოპედიის უვარგისობის დასასაბუთებლად) ა. ფოცხიშვილი უამრავ ტყუილს იკადრებს (როგორც ჩანს, ფიქრობს, ჩემი ასაკის კაცს ტყუილიც დაეჯერებაო, და...).

საგაზეთო წერილიდან: „1950 წელს, შემდგომში ინსტიტუტის დირექტორის არნ. ჩიქობავას სტატიით გაზ. „პრავდაში“ გაიხსნა დისკუსია „საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარების გზების შესახებ“. გაკრიტიკებული იყო, ბევრ შემთხვევაში სრულიად სამართლიანად, ნ. მარის „ახალი მოძღვრება“. რადგან დისკუსია იდეოლოგიურ ხასიათს ატარებდა (დასრულდა ი. სტალინის წერილით „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“), როგორც იმ დროს ჩვეულებრივ ხდებოდა, დაიწყო გააფთრებული ბრძოლა, განსაკუთრებით საქართველოში, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვისაც რაიმე ურთიერთობა ჰქონდა ნ. მართან, ანუ იყო მარისტი“. ...და ამ მსჯელობას მოჰყვება გამიზნული სიცრუე: „შედეგად ის მივიღეთ, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან გაათავისუფლეს მისი დირექტორი გ. ახვლედიანი მხოლოდ იმიტომ, პეტერბურგში ასპირანტურაში სწავლის დროს მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნ. მარიც იყო.“ „ისტორიკოსს“ ვურჩევდი წაეკითხა 1934 წელს გამოცემული წიგნი „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“. „მარისტები“ ებრძვიან გ. ახვლედიანს, ა. შანიძეს, არნ. ჩიქობავას და ვ. თოფურიას, როგორც ნ. მარის აქტიურ მოწინააღმდეგეებს, „ანტიმარისტებს“ (ამ თემაზე ვრცლად იხ. ჩვენი „ქართველური ენები თუ დიალექტები?“ — კრებულში „ქართველური ენები და დიალექტები“. 2007). 30-იან წლებში ანტიმარისტად შერაცხული გ. ახვლედიანი 50-იან წლებში მარისტობისთვის დასაჯეს? ასე სჭირდება და ცრუობს ა. ფოცხიშვილი... გ. ახვლედიანისადმი ენათმეცნიერების ინსტიტუტს რომ ჩვეულებრივი დამოკიდებულება ჰქონდა, იქედანაც ჩანს, განმარტებითი ლექსიკონზე მუშაობის დაწყებიდან დამთავრებამდე (1945 – 1964 წწ) გ. ახვლედიანი იყო განმარტებითი ლექსიკონის კომისიისა და მთავარი რედაქციის წევრი...

აქვე ა. ფოცხიშვილი იმასაც ამბობს, რომ ა. შანიძე „მარისტობის“ გამო „არ იქნა შეყვანილი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რედაქციაშიო“. აქ რამდენიმე სიცრუეა: ჯერ ერთი, განმარტებითი ლექსიკონის კომისია და მთავარი რედაქცია შეიქმნა 1945 წელს და არა 1950 წლის დიკუსიის შემდეგ... მეორეც, ა. შანიძემ თავად თქვა უარი განმარტებით ლექსიკონში მონაწილეობაზე; ესეც ცნობილი ფაქტია: კომისია განიხილავდა განმარტებითი ლექსიკონის შედგენის პრინციპებს; ა. შანიძის პრინციპებთან შედარებით უპირატესობა არნ. ჩიქობავას პრინციპებს მიენიჭა. ეს გახდა მიზეზი ა. შანიძის პროტესტისა... ენათმეცნიერების ისტორიკოსის პრეტენზიის მქონემ ეს ფაქტები უნდა იცოდეს!..

* * *

ა. ფოცხიშვილი ისე წარმოაჩენს ვითარებას, თითქოს ენციკლოპედიის ავტორ-შემდგენლები ივიწყებენ გ. ახვლედიანის ღვაწლს: „სტატიის ავტორებმა დაივიწყეს გ. ახვლედიანი“, ლაპარაკია სტატიაზე „ქართველოლოგია“. მან ძალიან კარგად იცის ის, რომ ამ სტატიაში საუბარი უნდა იყოს არა „ჩვენში ზოგადი ენათმეცნიერების წარმოშობა-განვითარებაზე“, არამედ იმაზე, თუ რა ინტერესს იწვევს ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით ქართველური ენები! ეს ორი სხვადასხვა რამეა... ამიტომაც, რაც მიიჩნიეს საჭიროდ სტატიის ავტორებმა, ის შეიტანეს მასში... გ. ახვლედიანი და მისი ღვაწლი დავიწყებული რომ არ არის, ამაში იოლად დავრწმუნდებით, თუ წავიკითხავთ სტატიას „გიორგი ახვლედიანი“ (ამ სტატიის ავტორი ა. ფოცხიშვილია!)... გარდა ამისა, ყველა სტატიაში, სადაც კი ამის საჭიროება იყო, დამოწმებულია გ. ახვლედიანი... ამაოდ დავობს „ქომაგი“...

* * *

ა. ფოცხიშვილი ფაქტების გაყალბების დიდოსტატია; ის ისტორიას იგონებს... კიდევ ერთი გამოგონილი ისტორია: „ქართულ ენათმეცნიერებაში კარგა ხანია ჩამოყალიბდა ორი, ერთმანეთთან დაპირისპირებული, მიმართულება: ერთს ქმნიდა არნ. ჩიქობავას გარშემო შემოკრებილი ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელთა უმეტესობა, მეორეს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერები, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ აკ. შანიძისა და გ. ახვლედიანის ირგვლივ“. ქართული ენათმეცნიერების ისტორია არ იცნობს ორ ამგვარ მიმართულებას. სინამდვილეში არსებობდა ორი საენათმეცნიერო სკოლა: აკაკი შანიძისა და არნოლდ ჩიქობავასი; ეს არ იყო უწყებრივი (ინსტიტუტისა ან უნივერსიტეტისა) „გაერთიანება“, ა. ფოცხიშვილს რომ ჰგონია; როგორც ერთის, ისე მეორის მიმდევრები იყვნენ სხვადასხვა სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები. ეს სკოლები არ შექმნილა პოლიტიკურ ნიადაგზე, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობს ა. ფოცხიშვილი; ეს იყო წმინდა მეცნიერული სკოლები, რომელთა ისტორიას (ავ-კარგს) დაწერს მიუკერძოებელი ისტორიკოსი... ერთი სიყალბე ა. ფოცხიშვილისეულ „ისტორიაში“ ისიცაა, რომ არასოდეს არ წოდებულა „აკ. შანიძისა და გ. ახვლედიანის“ სკოლად. და რაც მთავარია: ეს სკოლები არ შექმნილა 50-იანი წლების დისკუსიის შემდეგ. ა. ფოცხიშვილი კი წერს: „ამ ორი მიმართულების შექმნას აქვს თავისი ისტორია. 1950 წელს...“ და გრძელდება დისკუსიის ამბავი... ზემოთაც ვთქვი, განმარტებითი ლექსიკონის შედგენის პრინციპების თაობაზე დაპირისპირება 1945 წელს მოხდა... ამ სკოლათა არსებობა გასული საუკუნის 40-იან წლებში ფაქტია; მისთვის პოლიტიკური ხასიათის მიცემა დანაშაულია როგორც ა. შანიძისა და არნ. ჩიქობავას, ისე ქართული მეცნიერების წინაშე. აი, ამ კაცს აქვს პრეტენზია ენათმეცნიერების ისტორიკოსობისა...

**გიორგი გოგოლაშვილი,**
**პროფესორი, ენციკლოპედია „ქართული ენის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი**

განსჯა

(მეექვსე გვერდიდან)

**აი, როგორ „რეგულირდება“ ფასები რუსეთში!**

2008 წლის პირველ ნახევარში რუსეთში ინფლაციამ 9 პროცენტი შეადგინა, მოსალოდნელია, რომ წლიური 14–ს მიაღწევს, რითაც, პირველ რიგში, მოსახლეობის ღარიბი და მცირედ უზრუნველყოფილი პირები ზარალდებიან.

ფასები იზრდება განსაკუთრებით ბოსტნეულზე, მცენარეულ ზეთზე, პურზე და პურფუნთუშეულის ნაწარმზე (ზრდა საშუალოდ 20-36 პროცენტი). მოსკოვში პურის ფასმა გასულ წელთან შედარებით 80-90 პროცენტით მოიმატა.

რუსეთის ოფიციალური პირები ყოველივე ამაში კვების პროდუქტების გლობალურ კრიზისს და ენერგომატარებლების გაძვირებას ადანაშაულებს. მაგრამ, როგორც უცხოელი ექსპერტები თვლიან, პრობლემათა უმეტესობა წმინდა რუსული ხასიათისაა: რუსეთს მთელი სურსათისა და გადასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის საერთო მოცულობის 46 პროცენტი იმპორტით შემოაქვს, რადგან ადგილობრივი სოფლის მეურნეობა მოშლილია. რა თქმა უნდა, **ყოველივე ამის გამო რუსეთი მართლაც „მტკიცედ მიება“ სურსათის გაძვირების საერთაშორისო ფაქტორებს.**

**საქართველოში,** ვინ-ვინ და, მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრირება (და მისი გავლენაც) გაცილებით მასშტაბურია, რადგან ჩვენ, 1990 წლიდან დაწყებული, საკმარისი ოდენობის არანაირი საკუთარი რესურსი არ გაგვაჩნია. ისე არ გამიგოთ,–მართლაც ასე ყველაფრის უქონელი ვიყოთ. გვაქვს და ძალიან ბევრიც, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში, ენერგეტიკაში და ა.შ. მაგრამ შეგნებულად თუ შეუგნებლად, ვერ ან არ ვიყენებთ. უფრო „არ“, რადგან „საათივით აწყობილი“ სურსათის საიმპორტო „საქმის“ მქონე ბიზნესმენები და საკანონმდებლო თუ სახელისუფლებო ეშელონებში მყოფი მათი ლობისტები ყოველნაირად ცდილობენ სამამულო ეკონომიკის „გაყინვას“.

როგორც ჩვენი **სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი** იტყობინება, 2008 წლის I კვარტალში, წინა წლის I კვარტალთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი ჩვენში 11 პროცენტით, ხოლო სურსათისა და უალკოჰოლო სასმელებისა – 14 პროცენტით გაიზარდა.

# სხვაგანაც თუ ძვირდება, ჩვენთვის რა ნუგეშია?!

## სურსათზე ფასების ზრდა მსოფლიო პრობლემაა

**2008 წლის I კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის ყველა ძირითადი საკვები პროდუქტის ფასი გაიზარდა. გაძვირდა პური, პურის და სიმინდის ფქვილი, ყველა სახის ხორცი, მზესუმზირის ზეთი, რძის პროდუქტები, კვერცხი.**

**პურის ფასი 2007 წლის I კვარტალთან შედარებით მნიშვნელოვნად — 36 პროცენტით, ხოლო პურის ფქვილი — 27 პროცენტით გაიზარდა.**

2007 წლის I კვარტალთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მზესუმზირის ზეთის (68 პროცენტით) და რძის (39 პროცენტით) ფასები. ყველის ფასი გაიზარდა როგორც წინა წლის შესაბამის პერიოდთან (25 პროცენტით), ისე წინა კვარტალთან (32 პროცენტით) შედარებით. შემცირდა კარტოფილის, ლობიოსა და შაქრის ფასები.

ნურავინ იფიქრებს, რომ სხვა სფეროში საქმე უფრო დალაგებული გვქონდეს. ცხადია, არა. უბრალოდ, ეს წერილი უშუალოდ სასურსათო საქონლის ფასებს ეხება. თორემ ფასები, — ამას ვინ არ ხედავს, — ყველა სფეროში და თითქმის ყველაფერზე თითქმის ორმაგ-სამმაგად გაიზარდა.

ამრიგად, დღეს სასურსათო ფასებისა და, მისგან გამომდინარე, ყველა სხვა დანარჩენ საქონელსა თუ მომსახურებაზე ფასების სწრაფი ზრდა, როგორც დავრწმუნდით, ძირითადად, იმ ფაქტორების შედეგია, რაც მსოფლიო ბაზარზე დომინირებს. მაგრამ არსებობს ამ პროცესის „შემარბილებელი“ საშუალებებიც: ადგილობრივი რესურსების უკეთ გამოყენება, სამამულო ეკონომიკის განვითარება და ამ გზით მოსახლეობისათვის დამატებითი შემოსავლების გაჩენა (ნაცვლად ფულადი სამთავრობო დახმარებებისა, რომელიც ფაქტობრივად ინფლაციის წყაროა).

მართალია, ბიზნესი და კაპიტალის დაგროვების ინტერესები დღეს საზოგადოების დიდი ნაწილის ძირითადი მიზანია, რის გამოც მათთვის სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია, მაგრამ დღევანდელი ვითარება იმდენად რთული და საშიშია, რომ საქართველოს აღორძინება და გაძლიერება ყველამ პირველ პლანზე უნდა დააყენოს. საქართველოს ხელისუფლებამ და, პირველ რიგში, ქვეყნის აგრარულ სფეროში (დღეს, ქვეყანაში იგი დიდი პერსპექტივების მქონე ერთ-ერთი ყველაზე რეალური სექტორია) დასაქმებულმა ბიზნესმენებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ სამამულო სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად, კონკურენტული, ეკოლოგიურად სუფთა და მრავალფეროვანი პროდუქციის საწარმოებლად. აქეთკენ უნდა იქნას მიმართული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ღონისძიება და მის ხელთ არსებული ყველა საფინანსო-ეკონომიკური ბერკეტიც. ეს დაასაქმებს უმუშევრებს, შეამცირებს ინფლაციას და ფასებს, შექმნის საკვები პროდუქტის სიუხვეს. საქართველოს გადარჩენა მხოლოდ მის მოსახლეობას ძალუძს!



*P. S. რა დასამალია, და სტატისტიკის სამსახური, როგორც სახელმწიფო (სამთავრობო) დაწესებულება, ადრეც ხელისუფლების ინტერესებს იყო მორგებული. მის მიერ მომზადებული ნებისმიერი მონაცემი მთავრობას წყალს არ უნდა უმღვრევდეს. დღეს იგი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დეპარტამენტის სტატუსით არსებობს და უამრავი „მაკონტროლებელი“ და „შემსწორებელი“ ჰყავს.*

*ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ, როგორც ყველა ვამჩნევთ, საქართველოში სურსათის ფასები სინამდვილეში გაცილებით „აგრესიულ“ ხასიათს ავლენენ, ვინემ ეს სტატისტიკის ბიულეტენებშია დაფიქსირებული, რომლითაც ჩვენ, ე.ი. საზოგადოება ვსარგებლობთ. მისი მონაცემები, სულ ცოტა, სანახევროდ მაინც (ვიმეორებ, სულ ცოტა) შემცირებულ-შელამაზებულია. ასეთია „სახელმწიფო“ სტატისტიკის „დამამშვიდებელი“ დანიშნულება.*

*ასე რომ არ იყოს და სტატისტიკის სამსახური ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების რეალურ სურათს ასახავდეს და მას საზოგადოებას „შეულამაზებლად“ აწვდიდეს, იგი არ უნდა იყოს არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დამოკიდებული. იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით დამოუკიდებლად (ფინანსურადაც დამოუკიდებლად!) უნდა არსებობდეს. სტატისტიკა საჭიროა როგორც მეცნიერება და პრაქტიკა, მაგრამ საჭიროა სიმართლის, რეალობის ამსახველი სტატისტიკა!*

**ამირან გაბისონია**

ოლიმპიური თამაშები

# უიღბლო დღე

**ჩინეთის დედაქალაქში ოლიმპიური თამაშების გუშინდელი დღე ქართველი სპორტსმენებისთვის უიღბლო აღმოჩნდა.** დიდი იმედი გვქონდა, რომ შარშანდელი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი, წინა ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი რამაზ ნოზაძე (96 კგ.ძ პეკინიდანაც მედლით დაბრუნდებოდა, მაგრამ მეორე წრეში (პირველში ქართველმა ფალავანმა ბერძენ მოჭიდავეს სძლია) ჩვენს ოცნებას ცივი შხაპი ჩეხმა მარეკ შვეცმა გადაავლო. ნახევარფინალში ჩეხმა ორთაბრძოლა რუს ასლანბეკ ხუშტოვთან დათმო და ნოზაძეს მომავალი გზა გადაუღობა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სწორედ ხუშტოვი ავიდა, რომელმაც ფინალში დამაჯერებლად დაამარცხა გერმანელი მირკო ენგლიხი. ბრინჯაოს მედლები ამერიკელ ადამ ვეელერსა და ყაზახ ასეთ მამბეტოვს ხვდათ.

84 კილოგრამ წონით კატეგორიაში ცდიდა ძალებს წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ბადრი ხასაია. პირველსავე წრეში იგი თურქ ავლუჯა ნაზმისთან დამარცხდა. ამ უკანასკნელმა ნახევარფინალური შეხვედრა უნგრელ ზოლტან ფოდორთან დათმო და ჩვენებურიც ოლიმპიადას დაემშვიდობა. ამ წონაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ანდრეა მინგუზი (იტალია), 2. ზოლტან ფოდორი, 3. ავლუჯა ნაზმი და არა აბრაჰამიანი (შვედეთი).

უიღბლო აღმოჩნდა ოლიმპიური დებიუტი ძიუდოისტ ლომერ ჭორჭოლიანისთვის (100 კგ.ძ. იგი საპრიზო ადგილებს მიღმა აღმოჩნდა...

**გუშინ პეკინში მედლების კომპლექტები სპორტის რამდენიმე სახეობაში გათამაშდა. გაუწყებთ შედეგებს:**

**ცურვა. ქალები. 4X200 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. ავსტრალია, 2. ჩინეთი, 3. აშშ. 200 მ. **ბატერფლაი.** 1. იუ ზიგუ, 2. იაო ლიუეანგი (ორივე — ჩინეთიძ, 3. ჯესი შიფერი (ავსტრალიაძ. **ვაჟები. 100 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. ალან ბერნარდი (საფრანგეთიძ, 2. ეიმონ სელივანი (ავსტრალიაძ, 3. ჯეისონ ლეზაკი (აშშძ და სესარ ფილო (ბრაზილიაძ.

**ფეხბურთი. ვაჟები. A ჯგუფი.** იტალია — ვენესუელა 3:0, **B ჯგუფი.** გერმანია — ეგვიპტე 3:0, რუსეთი — ბრაზილია 3:1.

**კალათბურთი. ვაჟები.** A ჯგუფი. ავსტრალია — ირანი 106:68, ლიტვა — რუსეთი 86:79, **B ჯგუფი.** ანგოლა — ჩინეთი 68:85, გერმანია — ესპანეთი 59:72.

**ბალახის ჰოკეი. ქალები. A ჯგუფი.** ესპანეთი — კორეა 2:1. **B ჯგუფი.** იაპონია — არგენტინა 1;2.

**მაგიდის ჩოგბურთი. ვაჟები. A ჯგუფი.** ავსტრალია — ჩინეთი 0:3, ავსტრია — საბერძნეთი 3:0. **B ჯგუფი.** გერმანია — კანადა 3:0, **C ჯგუფი.** შვედეთი — ბრაზილია 3:0, **D ჯგუფი.** იაპონია — ჩინეთი 3:0, ნიგერია — რუსეთი 3:2.






მიმართვა

# რუსეთში ოლიმპიურ თამაშები არ უნდა ჩატარდეს

**გუშინ, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, მსოფლიოს ქვეყნების ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებსა და მსოფლიოს ქვეყნების სპორტულ ფედერაციებს ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაწესებულებების მიერ ხელმოწერილი მიმართვა გაეგზავნა.**

**წერილში აღნიშნულია, რომ რუსეთს, როგორც საკაცობრიო ღირებულებების და ოლიმპიური თამაშების პრინციპების დარღვევისთვის, უფლება არ აქვს უმასპინძლოს მომავალ ოლიმპიურ ესტაფეტას.**

**2008 წლის 8 აგვისტოდან დღემდე, პეკინის ოლიმპიადის მიმდინარეობის პერიოდში, საქართველოში განხორციელებულმა მოვლენებმა მთელს მსოფლიოს დაანახა, რომ რუსეთს არ აქვს მორალური უფლება უმასპინძლოს ოლიმპიურ თამაშებს სოჭში, — აღნიშნულია მიმართვაში.**

**წერილში მოკლედაა აღწერილი ის ქმედებები, რომელიც რუსულმა საჯარისო შენაერთებმა უკანონოდ განახორციელეს საქართველოს ტერიტორიაზე.**

**ХО-ЭОВ-ЭНО**

ეს საგულისყუოა

# პროგნოზები და სინამდვილე

**თუმცა ოლიმპიური თამაშების დამთავრებამდე მთელი ცხრა დღეა დარჩენილი, მაგრამ წინასწარი მონაცემებით მაინც შეიძლება იმის თქმა, თუ რამდენად სრულდება პროგნოზები ოლიმპიური შედეგების თაობაზე.** ამერიკული კომპანია „Pricewaterhouse Coopers" ვერსიით მედლები ასე უნდა გადანაწილებულიყო: 1. **ჩინეთი** — 88; 2. **აშშ** — 87; 3. **რუსეთი** — 79; 4. **გერმანია** — 53; 5. **ავსტრალია** — 41; 6. **იაპონია** — 34; 7. **საფრანგეთი** — 30; 8. **იტალია** — 29; 9. **დიდი ბრიტანეთი** — 28; 10. **სამხრეთ კორეა** — 27. აღნიშნული კომპანიის სპეციალისტების აზრით, მოპოვებული მედლები პირველ რიგში დამოკიდებული უნდა იყოს ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ასევე გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო შემდეგი ფაქტორები: შედიოდა თუ არა ქვეყანა ყოფილ აღმოსავლურ ბლოკში, ხომ არ არის ეს ქვეყანა თამაშების მომღები, აგრეთვე წინა თამაშებზე მოპოვებული მედლების რაოდენობა. ჯერჯერობით 14 აგვისტოს მონაცემებით ჩვენზე წინ მყოფი „მედალოსნები" ასე გამოიყურებიან: **აშშ.** ოქრო — 10, ვერცხლი — 8, ბრინჯაო — 11 სულ — 29. **ჩინეთი** (შესაბამისადძ — 17-5-5-27; **სამხრეთ კორეა** — 6-6-1-13. **ავსტრალია** — 4-2-6-12. **რუსეთი** — 2-7-3-12. **იტალია** — 4-4-3-11. **საფრანგეთი** — 1-7-3-7, **ჩრდილოეთ კორეა** — 1-2-4-7. **ჰოლანდია** — 1-1-3-5, **რუმინეთი** — 1-1-2-4. **შვეიცარია** — 1-0-3-4, **უკრაინა** 0-0-4-4, **საქართველო** — 2-0-1-3.

ჩვენთვის ყველაზე იღბლიანი გამოდგა „თარსი". 13 აგვისტო, როცა ქართულ „ოლიმპიურ ყულაბაში" ორი „ოქრო" აღმოჩნდა. რასაკვირველია, ეს საბოლოო შედეგები არაა. ალბათ ბევრი რამ არსებითად შეიცვლება.






ჩემპიონთა ლიგა

# საქმე ქართული

**მართალია, თბილისის „დინამო" ჩემპიონთა ლიგას მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოეთიშა, მაგრამ კონტინენტის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირს ჩვენი თანამემამულენი ჯერაც შემორჩნენ და ისინი არც თუ უკანასკნელ როლებს ასრულებენ სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით განვითარებულ მოვლენებში.**



ელიტ-რაუნდის ზღურბლთან ღირსეულად მოიქცა ლევან კობიაშვილი, რომელსაც „შალკეს" ძირითად შემადგენლობაში უნდა ეთამაშა მადრიდის „ატლეტიკოს" წინააღმდეგ, მაგრამ...

მოგეხსენებათ, გერმანელთა სატიტულო სპონსორი „გაზპრომი" გახლავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ გუნდის თითოეული წევრის მაისურს გულზე გამოსახული შესაბამისი სარეკლამო ლოგო უნდა ამშვენებდეს. საკუთარ სამშობლოსადმი რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიისადმი პროტესტის ნიშნად „კობიმ" მინდორზე გასვლაზე უარი განაცხადა.

რაც შეეხება წმინდა სპორტულ მხარეს, განსაკუთრებით ივაჭკაცა თემურ ქეცბაიას გაწვრთნილმა „ანორთოსისმა", რომელმაც კვიპროსზე პრინციპული ბრძოლა მოუგო მეზობელ ბერძენთა გუნდ „ოლიმპიაკოსს" — 3:0.

**გთავაზობთ III საკვალიფიკაციო წრის პირველი შეხვედრების შედეგებს:** „ბარსელონა" — „ვისლა" 4:0, „ტვენტე" — „არსენალი" 0:2, „შალკე" — „ატლეტიკო" 1:0, „სტანდარტი" — „ლივერპული" 0:0, „სპარტაკი" — „დინამო" (კიევიძ 1:4, „გიმარაეში" — „ბაზელი" 0:0, „შახტარი" — „დინამო" (ზაგრებიძ 2:0, „პარტიზანი" — „ფენერბახჩე" 2:2, „ბრანი" — „მარსელი" 0.1, „იუვენტუსი" — „არტმედია" 4:0, „გალათასარაი" — „სტიაუა" 2:2, „სპარტა" — „პანათინაიკოსი" 1:2, „ოლბორგი" — „კაუნასი" 2:0, „ლევსკი" — ბატე 0:1, „ანორთოსისი" — „ოლიმპიაკოსი" 3:0, „ფიორენტინა" — „სლავია" 2:0.



◉ ომის ექო

# ნეტავ აღარ დაგვჭირდეს!



**თითქოს თბილისს ლტოლვილები აკლდა და ახლა კვლავ ახალი საზრუნავი გაგვიჩნდა: ქართლში რუსი ოკუპანტების მიერ დარბეულ-დანგრეული ქალაქებიდან და სოფლებიდან გადმოხვეწილი მოსახლეობის სახით, რამდენიმე ათეულ ათასს რომ ითვლის.**

ბევრი მათგანი თბილისის სკოლებმა და საბავშვო ბაღებმა შეიფარეს, სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომაც კახეთის გზატკეცილის შემოგარენში, რძის კომბინატის გვერდით, ჯერ მედიკამენტების ბაზა რომ იყო, ხოლო შემდეგ დროებითი სამხედრო ნაწილი დაბინავდა, ახლა სასწრაფოდ შენდება კარავების ქალაქი. უკვე გაშლილია 8 კარავი, თითოეული 40 საწოლზეა გათვალისწინებული, ღმერთმა დაიფაროს და, თუ საჭირო გახდა, კიდევ შეიძლება რამდენიმე კარავის გაშლა. ახლა ასევე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ტერიტორიის მოწესრიგება — განათების დამონტაჟება, დროებითი საპირფარეშოების დადგმა, კარვებში ვენტილაციის მოწყობა, მისასვლელი გზების კეთილმოწყობა. დიდი ყურადღება ექცევა ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებასაც.



ქალაქის მერიის სამსახურები, განსახლების სამინისტრო ძალისხმევას არ აკლებენ, რათა აქ დაბინავებულმა ლტოლვილებმა დროებით მაინც შვებით იგრძნონ თავი. არა და, ღმერთმა ქნას, კარვების ქალაქი მალე აღარ დაგვჭირვებოდეს!

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

# დევნილთა რეგისტრაცია დაიწყო

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ თბილისში ცხინვალის კონფლიქტის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობის რეგისტრაცია დაიწყო.**

როგორც იუსტიციის სამინისტროდან იტყობინებიან, დევნილი მოსახლეობის რეგისტრაციისთვის 50 მობილური ჯგუფი დაკომპლექტდა, რომლებიც აღიჭურვნენ შესაბამისი ტექნიკით. რეგისტრაციისთვის ოპერატიულად შემუშავდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მაქსიმალურად გამარტივებულ რეჟიმში უზრუნველყოფს დევნილთა უმოკლეს ვადებში რეგისტრაციას. აღნიშნულ ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობენ ცენტრალური საარჩევნო კომისია და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია.

ჯგუფები გადანაწილდნენ დევნილებით კომპაქტურად ჩასახლებულ პუნქტებში და თითოეული შემადგენლობა ერთი სამუშაო დღის განმავლობაში, დაახლოებით, 300-მდე დევნილს მოემსახურება.

დედაქალაქში მცხოვრებ ახლობლებთან დროებით დაბინავებულმა დევნილებმა რეგისტრაციისთვის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის ტერიტორიულ სამსახურს უნდა მიმართონ, მისამართზე წერეთლის გამზირი №67ა.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ცხელ ხაზზე 17-22-22.

**ინტერპრესნიუსი**





**მეუღლე მერი დვალი, შვილი ლევანი, რძალი მარიკა, ძმა ზურა, იუზა, და რუსიკო ბოჭორიშვილები, ძმისწულები, დისწულები, რძლები იუწყებიან**

**ჯონდო ბოჭორიშვილის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 VIII, 18 სთ. დაკრძალვა 16 VIII, 14 სთ. მის. თბილისი, ერწოს ქ. №4, კორპ 4. სად. 5 ბინა 112.**

---

**ნანი, ციცი, დაზმირი, ხათუნა, ილია კორკელიები, გურამი, ხათუნა, ილია აფხაზავები ოჯახებით, იუწყებიან, რომ ბრძოლის ველზე გმირულად დაიღუპნენ სენაკში, ქ. ფოთის მკვიდრი 20 წლის მეგობარი ვაჟკაცები**

**ოთარ ბახვას ძე კიკალეიშვილი და**

**შალვა ემზარის ძე გაბუნია**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახებს და ახლო ნათესავებს.**

## სააქციო საზოგადოება „ვაკეს“აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

**სააქციო საზოგადოება „ვაკეს“ აქციონერებს გიწვევთ საზოგადოების ახალ (განმეორებითძ რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2008 წლის 08 სექტემბერს, 14.00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ.თამარაშვილის შესახვევი № 15.**

**სააქციო საზოგადოება „ვაკეს“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2008 წლის 01 ივლისი.**

**დღის წესრიგი:**

1ძ სააქციო საზოგადოება „ვაკეს“ წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;

2ძ ახალი საზოგადოების დაფუძნება;

3ძ სხვადასხვა.

დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „ვაკეს“ დირექტორატში (მის: ქ.თბილისი, მ.თამარაშვილის შესახვევი № 15ძ, ხოლო განმარტებების მისაღებად მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს დაყენებული დირექტორატის წინაშე, კრებამდე 10 დღით ადრე.

სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციებს უწევენ აქციონერებს, რათა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან:

ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და საკუთარ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

აქციონერთა კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლება საზოგადოების აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ სს „ვაკეს“ რეგისტრატორთან — შპს „რეგისტრი“, ა.წ. 03 სექტემბერი, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის ქ. № 74 ა, ტელ: 23 01 09; 23 00 68.

**საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე**
**მ. მაჭავარიანი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

◉ ინფორმაცია

## კოკოითი საქართველოსთან ერთად აშშ-ს დასჯასაც ითხოვს

**სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის განცხადებით, საქართველოსთან ერთად სამხრეთ ოსეთში განხორციელებულ გენოციდზე პასუხისმგებლობა აშშ-მაც უნდა გაიზიაროს.**

**— აშშ-მ საქართველოს მსგავსად პასუხი უნდა აგოს სამხრეთ ოსეთში განხორციელებულ გენოციდზე. აშშ-ს ბოლო ქმედებები, ამერიკული ხელისუფლების განცხადებები ამ ფაქტს ნათლად ამტკიცებს, — განუცხადა კოკოითმა „ინტერფაქსს“.**

**ინტერპრესნიუსი**

### განცხადება

# აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის რეგიონული ცენტრი (საგადასახადო ინსპექციაძ 2008 წლის 29 აგვისტოს დღის 14 საათზე, სამტრედიაში, რესპუბლიკის №6-ში (სამტრედიის ყოფილი ზონალური საგადასახადო ინსპექციის შენობაშიძ კოოპერატივ „მეგობრობას“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ტრაქტორების სადგომი, შენობა რკინა-ბეტონის სვეტებზე, 345 კვმ. შეფასებულია 3500 ლარად;
2. წისქვილის შენობა, აგებულია აგურით, დახურულია აზბესტოცემენტის ფურცლით, შეფასებულია 1600 ლარად;
3. თავდაცვის თავშესაფარი ნაგებობა, შეფასებულია 100 ლარად;
4. ფარცხი, შეფასებულია 30 ლარად.
5. ეზოს შემორაგვა, შეფასებულია 5500 ლარად;
6. ხის ფარდული, შეფასებულია 150 ლარად;
7. სასმელი წყლის ჭა, შეფასებულია 200 ლარად;
8. ავტომობილი „კავზი“, შეფასებულია 1500 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 12580 (თორმეტი ათას ხუთას ოთხმოციძ ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონულ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციაძ.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია, დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარავამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექციაძ შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონულ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციაძ მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. I.**

**ტელ: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

**ომის ექო**

## სად არის სარდალი მამუკა ყურაშვილი?



**სამაჩაბლოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ არსად გამოჩენილა ქართული სამშვიდობო ძალების სარდალი მამუკა ყურაშვილი. ხომ არაფერი გსმენიათ მისი ხვედრის შესახებ? — გვეხმიანებიან ჩვენი გაზეთის მკითხველები.**

ბუნებრივია, თანამემამულე გენერლის ბედი ჩვენც გვაინტერესებს და შეძლებისდაგვარად ვცდილობთ მისი ასავალ-დასავალის დადგენას.

როგორც სხვადასხვა წყაროდან შევიტყვეთ, მამუკა ყურაშვილი დაჭრილი ყოფილა, უკანასკნელად კონფლიქტის ზონაში ნახეს. არც ისაა გამორიცხული, იგი დატყვევებული იყოსო, — გვაცნობა ერთ-ერთმა ინფორმატორმა.

**მათქმევინებთ?**

## სიმართლეს ვიტყვი — მწარეს...

**ამ წერილში რუსეთზე არ იქნება ლაპარაკი. ეგ ქვეყანა პირსისხლიანი დათვი რომაა, ყველამ იცის, კარგად იცის და დიდი ხანია იცის. თითქმის ანეკდოტურია, რომ ასეთ დათვურ ქვეყანას დათვაძე (მედვედევი)ძ ჩაუდგა სათავეში. ეს-ღა აკლდა!**

ყველამ იცის-მეთქი, ოღონდ ისიც უნდა გვცოდნოდა და პირველ რიგში უნდა სცოდნოდა, უნდა ხსომებოდა ხელისუფლებას და სულ პირველ რიგში უმაღლეს ხელისუფალს (უმაღლეს მთავარსარდალსაცძ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომ რუსეთისაგან ყველაფერია მოსალოდნელი, რომ რუსეთი ყველაფრის ჩამდენი, ყველაფრის გამკეთებელი, ყველაფერზე წამსვლელი ქვეყანაცაა, რომ ის, ვინც საკუთარი მხარეს (ჩეჩნეთიძ დაანგრია და მიწასთან გაასწორა, ბესლანი, ნორდოსტი, ნაირ-ნაირი აფეთქება იკისრა და იკადრა თვით სატახტოშიც (მოსკოვშიძ, კი, ვინც სასიკვდილოდ გასწირა ქალები და ბავშვები, საერთოდ, თავისი მოქალაქეები თავისავე ტერიტორიებზე — სხვისას რატომ დაზოგავდა, ნეტავი? ჩვენ რატომ არ გაგვიმეტებდა?..

რამდენჯერ დაწერილა ქართულ პრესაში, რამდენჯერ ურჩევიათ თუ გაუხსენებიათ პრესის ფურცლებიდან საქართველოს მეთაურისთვის, რომ რუსეთი დიდია და ძლიერი, რომ მასთან ჭიდაობა არ ეგების, ფრთხილად უნდა ვიყოთ, დამატებითი, თუნდაც ფორმალური საბაბი არ უნდა მივცეთ ღონიერი კუნთების ასათამაშებლად, რომ მხოლოდ ამერიკელი თუ ევროპელი მეგობრების იმედით ნუ ვართ, რომ ამ ვეშაპთან შესაბმელად ძალი არ შეგვწევს ძაღილისა, რომ, რომ, რომ... აღარ უნდა დაიწყოს ქართული პრესის კითხვა?..

**თამაზ ეგანოიძე**

უახლესი ტექნოლოგიები

ჰაილიში



ალტერნატივა ქართულ ბაზარზე

ლარის ტიპის საყინულე მაცივარი, გასაწევი შუშებით. 400-750 ლიტრი მოცულობის

ევრო სტანდარტი

სრული კომპლექტაცია

| მოდელი | ზომა | | | ელ. ენერგიის მოხმარება | კალათების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| | სიგრძე | სიგანე | სიმაღლე | | |
| შ -108 | 660 | 578 | 977 | 1.2კვ/24სთ-ში | 1 |
| შ -168 | 1020 | 585 | 930 | 1.3კვ/24სთ-ში | 2 |
| შ -218 | 1100 | 605 | 965 | 1.6კვ/24სთ-ში | 2 |
| შ -278 | 1250 | 960 | 950 | 2.0კვ/24სთ-ში | 3 |
| შ -528 | 1705 | 745 | 990 | 3.8კვ/24სთ-ში | 5 |
| შ -668 | 1980 | 830 | 1040 | 5.0კვ/24სთ-ში | 5 |

მისაღები ფასები. საგარანტიო მომსახურება

ჩვენი მისამართია: თბილისი, კედიას 15 (ყოფილი კახოვკა, დიდუბეში)

ტელ: 35-20-50. 35-60-78

ელ-ფოსტა: tsikara@mail.ru; tsikara@yahoo.com

რეკლამა კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-65-87; 899 32-85-76.

**ძვირფასო მკითხველო!**

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge

ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ.

ფაქსი: 98-65-87.

**მოგონება**

## სიკეთე სიმღერისა

**ეს ამბავი ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისის კულტურის უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების დროს მოხდა. იგი იმდენად შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი გამოდგა,რ არ შემიძლია მკითხველს არ გავაცნო. რამდენად სწორად ვიქცევი, ეს თვითონ მკითხველმა განსაჯოს.**

თბილისის კულტურის უნივერსიტეტის რექტორი იყო დიდებული მამულიშვილი თემურ ჟღენტი. მას გვერდში ედგნენ ხელოვნების დარგის ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც ბრძანდებიან: ანზორ ერქომაიშვილი, თემურ გოცაძე და რეზო ჭანიშვილი. მე, პროფესორებთან დევი კაციტაძესა და ვაჟა თვალავაძესთან ერთად მიმიწვიეს მისაღებ გამოცდაზე საქართველოს ისტორიაში.

ერთ დღეს, მეორე ცვლაში, გამოცდაზე შემოვიდა სალოტბარო განხრის ხუთი აბიტურიენტი, მეტად მომხიბლავი და სიმპათიური ყმაწვილები. უეცრად, მათი სიმღერაში გამოცდა გადავწყვიტე. „წინწყარო“ ისე კარგად ვიმღერეთ, ყველა სახტად დარჩა და გაკვირვებული გვიცქეროდნენ. ამას მეგრული „მარებელი“ მივაყოლეთ, შემდეგ „ხინწკალა“ და „ქაქუთური მაყრულიც“, „ასლანური მრავალჟამიერი“ და „იმერული მგზავრულიც“ თქვენდა მოსაწონად შემოვძახეთ.

მოკლედ, სალოტბარო ფაკულტეტის აბიტურიენტთა კვინტეტმა მისაღები გამოცდა ჭეშმარიტად წარმატებით ჩააბარა. საღამოს, როცა გამოცდებს მოვრჩით, უნივერსიტეტის ეზოში ჩავედით, შინ მივდიოდით. იქვე ამ ახალგაზრდათა კვინტეტმა „მრავალჟამიერი“ შემოგვაგება და ასე გამოგვაცილა. მე თვალებზე სიხარულის ცრემლები მომადგა, ქართულმა ხალხურმა სიმღერამ ამატირა.

**დურმიშხან ცინცაძე**

**კადრი**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.